

ISSN 1512 - 4649

ეკონომისტი

საგანმანათლებლო-პრაქტიკული ჟურნალი

№7, ივლისი, 2007 წელი

1591
2007

ეკონომიკური პოლიტიკა (მთაწერის, ბიზნესმენტა და მეცნიერთა პრობლემები)

გადასახადები, ბუღალტრული აღრიცხვა, აუდიტი

საბანკო საქმე (ბანკები, ბიზნესმენი, მენეჯერები)

საბანკო-ფინანსო სისტემები (სამეწარმეო სამართალი), კომენტარები

მეწარმეთა კითხვები და პრობლემები



მ.პ.ს. ტალიტ

მიმართვა-კონსულტაციის

ქვე-ფენჯრები

პროფილები


ქვესასურები

დაზღვევა-ფენჯრები

www.talita.ge

e-mail: talita@mail.ru

3-28-28, 899 45-66-93, 898 25-97-70 ქვესასურების ქვესასურები



ეკონომისტი

akhali EKONOMISTI

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი № 7 ივნისი, 2007
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE No 7 June, 2007

მთავარი რედაქტორი:
ლოიდ კარჩავა

Editor-in-Chief:
LOID KARCHAVA

სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი:
თემურ შენგელია

Editor of the Scientific part:
TEMUR SHENGELIA,

სარედაქციო კოლეგია

EDITORIAL BOARD

საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:
ანთონიძე სილაბაკე

Corresponding-members of Academy of Science of Georgia:

ლემო ჩიბაძე,

AVTANDIL SILAGADZE, LEO CHIKAVA,
Dr. Prof. of Economics:

პე. მეცნ. დოქტორები, პროფესორები:

ბივი ბამსახურდია, სიმონ ბელაშვილი, რევაზ გველესიანი, ვასილ გორბაჩუ-ძი (კიევი, უკრაინა), ვოლფგანგ ვენგი (ბერ-ლინი, გერმანია), შოთა ვეშაპიძე, ნუბზარ თოდუა, გოჩა თუბერიძე, მერაბ კაკულია, რევაზ კაკულია, ჰარალდ კუნ-ცი (ბრანდენბურგი, გერმანია), რევაზ მანველი-ძე, იაკობ მესხია, ელგუჯა მეკვაბიშვილი, მირიან თუკაშვილი, მზია ჭებურია, ლამარა ჟიჟია, ლარსა კორგანაშვილი, მიხეილ ჩიკვილაძე, გიორგი წყნეთელი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი, მერაბ ხმალაძე, ჯამლეთ ჯანგავა, ვიანეტე ჰომმეს (მაასტრიხტი, ჰოლან-დია).

GIVI GAMSAKHURDIA, SIMON GELASHVILI, REVAZ GVELESIANI, VASYL GORBACHUK (Kiev, Ukraine), WOLFGANG WENG (Berlin, Ger- many), SHOTA VESHAPIDZE, NUGZAR TOD- UA, GOCHA TUTBERIDZE, MERAB KAKULIA, REVAZ KAKULIA, HARALD KUNZ (Brandenburg, Germany), REVAZ MANVELIDZE, JAKOB MESKHIA, ELGUJA MEQVABISHVILI, MIRIAN TUKHASHVILI, MZIA QEBURIA, LAMARA QO- QIAURI, LARISA KORGANASHVILI, MICHAEL CHIKVILADZE, GIORGI TSERETELI, NODAR KHADURI, ELENE KHARABADZE, ETER KHARAIHVILI, MERAB XMALADZE, JAMLET JANJGAVA, JEANNETTE HOMMES (Maastricht, Netherlands).

ახალი ეკონომისტი

ბიორბი შიხაშვილი (თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის ლექტორი), თამაზ მახაბიძე (მცირე მეწარმეთა კლუბის მენეჯერი, საქართველოს მეწარმეთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი), ბიორბი ისაკაძე (საქართველო-ს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი), ზაზო ნარმაანი (საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგე-ობის თავმჯდომარე, პე. მეცნ. კანდიდატი, პროფე-სორი), ზვიად რობაზა (იურისტი), ედიშერ კარ-ჩავა (იურისტი)

GIORGI SHIKHASHVILI (Lecturer of Tbilisi Acad- emy and Seminary), TAMAZ VASHAKIDZE (Man- ager of Club of Small Entrepreneurs, Executive Di- rector of Union of Georgian Entrepreneurs), GIORGI ISAKADZE (Executive Director of Fed- eration of Georgian Businessmen), DAVID NAR- MANIA (Chairman of Board of Association of Yang Economists of Georgia, Dr. Prof.), ZVIAD RO- GAVA (Lawyer), EDISHER KARCHAVA (Lawyer).

შპს 4 ლადი

მისამართი: ჯორჯაძის ქ. №5
ტელ: 990-576
ფაქს: 855-277-554
ელ.ფოსტა: karchava-l@myoffice.ge
ვებ-გვერდი: www.economisti.ge



რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. ინფორმაციის სიუსტეგუ პასუხისმგებელია ავტორი. რედაქციასთან შეუთანხმებლად ვერნაღში გამოქვეყ- ნებული მასალების გადამკვეთი ან სხვა რაიმე სახით გამოყენება დაუშვებელია.

შინაარსი

მთავარი გვერდი

ინტერვიუ საქართველოს მთავრობის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსთან – ჯამბულ ბაბურაძესთან 5

მეცნიერება

ღავით ნარმანია, ელბუჯა ხოპროშვილი – საქართველოს საგადასახადო სისტემა 9

ვასილ კიკუტაძე – ლიზინგის რეგულირების საკითხები საქართველოში 20

ნუზუარ ზემეკიძე – მომუშავეთა შეფასების საკითხისათვის . . . 27

ბიორბი მჯაფლიშვილი – სვანეთი დიდი ტურიზმის მოლოდინში . . 31

სოციალური ეკონომისტიკის გვერდი

მაია ბიორბელიძე – ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) საქართველოში 37

კითხვა-პასუხი 39

საკანონმდებლო სიახლეები 40

ბიზნესის ბარჯემო

ეკიმი, მეცნიერი, ბიზნესმენი – თამაზ მჭედლიძე 60

ჩვენი ავტორები 62

ახალი ეკონომისტიკა

UDC(უაკ) 33+338.22
ა - 984

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2007 წ.,
© გამომცემლობა „ლიტ“



სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი № 7 ივნისი, 2007
SCIENTIFIC-PRACTICAL MAGAZINE No 7 June, 2007

მთავარი რედაქტორი:
ლოიდ კარჩავა

**Editor-in-Chief:
LOID KARCHAVA**

სამეცნიერო ნაწილის რედაქტორი:
თემურ შენგელია

**Editor of the Scientific part:
TEMUR SHENGELIA,**

სარედაქციო კოლეგია

საქ. მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტები:
ანთონიძე სილაბაკი
ლეთიძე ნინო

EDITORIAL BOARD

Corresponding-members of Academy of Science of Georgia:

- AVTANDIL SILAGADZE, LEO CHIKAVA, Dr. Prof. of Economics:**
GIVI GAMSAKHURDIA, SIMON GELASHVILI, REVAZ GVELESIANI, VASYL GORBACHUK (Kiev, Ukraine), WOLFGANG WENG (Berlin, Germany), SHOTA VESHAPIDZE, NUGZAR TODUA, GOCHA TUTBERIDZE, MERAB KAKULIA, REVAZ KAKULIA, HARALD KUNZ (Brandenburg, Germany), REVAZ MANVELIDZE, JAKOB MESKHIA, ELGUJA MEQVABISHVILI, MIRIAN TUKHASHVILI, MZIA QEBURIA, LAMARA QO-QIAURI, LARISA KORGANASHVILI, MICHAEL CHIKVILADZE, GIORGI TSERETELI, NODAR KHADURI, ELENE KHARABADZE, ETER KHARAIHVILI, MERAB XMALADZE, JAMLET JANJGAVA, JEANNETTE HOMMES (Maastricht, Netherlands).

გ. მეცნ. დოქტორები, პროფესორები:
ბიჭი ბამსახურდია, სიმონ ბელაშვილი, რევაზ გველესიანი, ვასილ გორბაჩუკი (კიევი, უკრაინა), ვოლფგანგ ვენგი (ბერლინი, გერმანია), შოთა ვეშაპიძე, ნუზარ თოდუა, გოჩა თუთბერიძე, მერაბ კაკულია, რევაზ კაკულია, ჰარალდ კუნცი (ბრანდენბურგი, გერმანია), რევაზ მანველიძე, იაკობ მესხია, ელგუჯა მეკვაბიშვილი, მირიან თუკაშვილი, მზია კებურია, ლამარა კოკიაური, ლარისა კორგანაშვილი, მიხეილ ჩიქვილაძე, გიორგი ტყეშელაშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, ეთერ ხარაიშვილი, მერაბ ხმალაძე, ჯამლეთ ჯანგავა, ჯენეტე ჰომესი (მაასტრისტი, ჰოლანდია).

გიორგი შიხაშვილი (თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის ლექტორი), თამაზ მანგაძე (მცირე მეწარმეთა კლუბის მენეჯერი, საქართველოს მეწარმეთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი), გიორგი ისაკაძე (საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი), დავით ნარმანიანი (საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, ეკ. მეცნ. კანდიდატი, პროფესორი), ზვიად როგავა (იურისტი), ედიშერ კარჩავა (იურისტი)

GIORGI SHIKHASHVILI (Lecturer of Tbilisi Academy and Seminary), TAMAZ VASHAKIDZE (Manager of Club of Small Entrepreneurs, Executive Director of Union of Georgian Entrepreneurs), GIORGI ISAKADZE (Executive Director of Federation of Georgian Businessmen), DAVID NARMANIA (Chairman of Board of Association of Yang Economists of Georgia, Dr. Prof.), ZVIAD RO-GAVA (Lawyer), EDISHER KARCHAVA (Lawyer).

შანი 4 ლარი

ISSN: 2224-5000

ტელ: 990-576

მობ: 855-277-554

ელ.ფოსტა: karchava-l@myoffice.ge

ვებ-გვერდი: www.economisti.ge



რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. ინფორმაციის სისუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. რედაქციასთან შეუთანხმებლად ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე სახით გამოყენება დაუშვებელია.

სამეცნიერო-პრაქტიკული
ეკონომისტი
№7(8), 2007 წელი

25667

ახალი ეკონომისტი



მთავარი გვერდი

ინტარვიუ საქართველოს მთავრობის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსთან - ჯამბულ ბაკურაძესთან 5

მეცნიერება

ღავით ნარმანია, ელბუჯა სოკროშვილი - საქართველოს საგადასახადო სისტემა 9

მასილ კიკუტაძე - ლიზინგის რეგულირების საკითხები საქართველოში 20

ნუზხარ ზერეძიძე - მომუშავეთა შეფასების საკითხისათვის . . . 27

ბიორბი მჯელიშვილი - სვანეთი დიდი ტურიზმის მოლოდინში . . 31

სოციალური ეკონომიკის გვერდი

მაია ბიორბაძეძე - ამერიკის საერთაშორისო განვითარების saagent o (USAID) საქართველოში 37

კითხვა-პასუხი 39

საპანონომდებლო სიახლეები 40

ბიზნესის გარემო

ექიმი, მეცნიერი, ბიზნესმენი - თამაზ მჭედლიძე 60

ჩვენი ავტორები 62

ახალი ეკონომისტი

UDC(უაკ) 33+338.22
ა - 984

© ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2007 წ.,
© გამომცემლობა „ლო“



საქართველოს მთავრობის
რეგიონალურ საკითხთა
დეპარტამენტის უფროსთან –
ჯაბაშვილ ბაქურაშვილთან

რედაქციისაბან:

ჩვენი უურნალი შეპირებისამებრ იწყებს მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის წარმოდგენას მკითხველისათვის. ჩვენ სისტემატურად გავაშუქებთ ქვეყანაში მიმდინარე უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მოვლენას როგორც მაკრო-, ასე მიკროეკონომიკის დონეზე. ამ ჯერზე რედაქციამ უურადლება შეაჩერა მთავრობის რეგიონალურ პოლიტიკაზე ინტერვიუს თავად რედაქტორი უძღვება. შემდეგში სხვადასხვა მიმართულების კორესპონდენტები შესაბამისი კითხვებით მიმართავენ მთავრობის სხვა წარმომადგენლებს. რეგიონების კორესპონდენტები საკუთარ რეგიონში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებს თავად გააშუქებენ, ან შესაბამისი კითხვებით მიმართავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელებს ყველა დონეზე – პრეზიდენტის რწმუნებულებიდან დაწყებული და სოფლის გამგებლთი დამთავრებული.

– ბატონო ჯაბაშვილ, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, მათ შორის უპირველეს ყოვლისა სოციალურ-ეკონომიკური, თითოეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, სამეურნეო ერთეულის, თითოეული ადამიანის ცხოვრებაზე აისახება. გთხოვთ, გააცნოთ მკითხველს, რა ძირითადი ამოცანები დგას თქვენი დეპარტამენტის წინაშე?

– ზოგადად, მთავრობის კანცელარიის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის ფუნქციაა ხელი შეუწყოს საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და მთლიანად მთავრობის რეგიონალური პოლიტიკის განხორციელებას, თანამშრომლობას ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შორის. კერძოდ, დეპარტამენტი პერიოდულად ამზადებს წი-

ნადადეგებს და მონაწილეობს ისეთი საკითხების გადაწყვეტაში, როგორცაა:

– სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა უფლებამოსილებისა და ქონების გამიჯვნა, მუნიციპალური განვითარების, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობისა და რეგიონალური მმართველობითი სისტემის რეფორმირება;

– რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამების შემუშავება;

– საბიუჯეტო სისტემის დეცენტრალიზაცია, ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულება და ცენტრალურ ბიუჯეტთან ურთიერთობა, აგრეთვე, ტრანსფერების განაწილება და მათი მიზნობრივი გამოყენება;

– რეგიონებში მეწარმეობის განვითარებისა და საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება, დასაქმების პრობლემების რეგუ-

თვითმმართველობის საკითხები

ახალი ამონაგონი

ლირება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა;
- მოსახლეობისა და მეურნეობის სტა-
ბილური ენერგო- და გაზომომარაგება;

- მეურნეობის ცალკეულ დარგებსა და
სფეროებში შექმნილ საგანგებო სიტუაციათა
შეფასება, სტიქიური მოვლენების შედეგების
სალიკვიდაციო საქმიანობის კოორდინაცია;

- სოციალურად დაუცველი მოსახლე-
ობის (ღრმადღილები და იძულებით გადა-
ადგილებული პირები, ინვალიდები, პენ-
სიონერები, მოზარდები და სხვ.) სოციალ-
ური საკითხები;

- სატრანსპორტო კომუნიკაციების, გა-
ნათლებისა და ჯანდაცვის ობიექტების აღდ-
გენარეკავილიტაცია და მილიანად - სოციალ-
ური ინფრასტრუქტურის განვითარება;

დეპარტამენტს დაკისრებული აქვს აგრეთვე
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოე-
ბის მიერ მოქალაქეების სამხედრო აღრიცხ-
ვაზე აყვანის, სამხედრო სამსახურისათვის
მოზადებისა და სამხედრო სამსახურში გაწვე-
ვის სამუშაოთა კოორდინაცია.

- ფაქტობრივად ყველა სფეროს
მოიცავთ ადმინისტრაციული ერთეულებ-
ის დონეზე. ეს საკმაოდ ვრცელი თემაა
და ბუნებრივია, ერთი ინტერვიუს ფარ-
გლებში ყველაფერს ვერ გაეშლით. ჩვენი
ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი პრიორ-
იტეტულია ინვესტიციების მოზიდვა.
ბოლო წლებში რეგიონებში შეინიშნე-
ბა საინვესტიციო საქმიანობის მნიშ-
ვნელოვანი გააქტიურება. გთხოვთ მოკ-
ლედ გვიამბოთ მთავრობის საინვესტი-
ციო პრიორიტეტების შესახებ.

- საქართველოში ფართო მასშტაბით
ხორციელდება რეგიონალური საინვეს-
ტიციო პროგრამა, რომელიც მოიცავს
საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქ-
ტურის ობიექტების მშენებლობასა და რე-
აბილიტაციას. მათი საერთო ღირებულე-
ბა (ქ. თბილისში განხორციელებული ინ-
ვესტიციების გარდა) 700 მლნ ლარს აღ-
წევს. დაფინანსების წყაროების მიხედვით
იგი ასე გამოიყოფა (იხ. ცხრილი №1):

საბიუჯეტო სახსრებთან ერთად პრო-
გრამა ფინანსდება ევროპის რეკონსტრუ-
ქციისა და განვითარების ბანკის, მსოფ-
ლიო ბანკის, გერმანიის აღმშენებლობის
საკრედიტო ორგანიზაციის, „მილენიუმის“
და სხვა დონორთა ხარჯზე.

საინვესტიციო პრიორიტეტებად მიჩ-
ნეულია წყალსადენების და წყალმომარ-
აგების სისტემების, გაზსადენებისა და
გაზმომარაგების სისტემების, გზებისა და
ხიდების, განათლების, ჯანდაცვისა და
სპორტულ-განმანათლებელი ობიექტებ-
ის რეაბილიტაცია და სხვ.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარე-
მოება, რომ ცენტრალური ბიუჯეტიდან 60
მილიონ ლარამდე დაფინანსება მხარეებ-
ის მიხედვით თვითმმართველობის ადგი-
ლობრივი თვითმმართველობის ორგანოებს.
ამასთან, საინვესტიციო პროექტები შერ-
ჩეულ იქნა თვითმმართველობების მიერ
წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე.
არსებითად, ტერიტორიულ ერთეულებს გადა-
ცათ მნიშვნელოვანი საინვესტიციო რესურ-

ცხრილი №1

ინვესტიციები რეგიონებში დაფინანსების წყაროების მიხედვით

- ცენტრალური ბიუჯეტი	59,2 მლნ ლარი;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	12,5 მლნ ლარი;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო	49,1 მლნ ლარი;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	25,2 მლნ ლარი;
- კულტურისა და სპორტის სამინისტრო	9,8 მლნ ლარი;
- ეკონომიკური განვითარების სამინისტრო (საავტომობილო გზების დეპარტამენტი)	300,0 მლნ ლარი;
- ენერგეტიკის სამინისტრო	15,4 მლნ ლარი;
- მუნიციპალური განვითარების ფონდი	85,7 მლნ ლარი;
- ადგილობრივი ბიუჯეტები	105,6 მლნ ლარი.



მიჯვარი ბჰერლი

სი, რათა წარმართონ იგი თავიანთი შეხედულებებისამებრ – რაიონისათვის პირველი რიგის აუცილებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად.

ასე მაგალითად, კახეთის მხარისათვის გამოყოფილი 12 მლნ ლარიდან 250 ათასი ლარი იხარჯება ამბტის რაიონში გასხადენის რეაბილიტაციაზე გურჯაანის რაიონში 290 და 390 ათასი ლარი – შესაბამისად სოფლების – არაშენდა და ჯიშითის წყალმომარაგებისა და გურჯაანის გასხადენის რეაბილიტაციაზე დედოფლისწყაროს, თღვასის და საგარეჯოს წყლსადენების რეაბილიტაციას სმარდება შესაბამისად, 300, 1200 და 1000 ათასი ლარი. საგარეჯოს რაიონში სოფ. იორბუღანლოს გზის აღსადგენად გამოყოფილია 700 ათასი ლარი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქ. სიღნაღის სარეკონსტრუქციო და ისტორიულ-ეტიმოლოგიური მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ, რაც ცენტრალური ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილია 9100 ათასი ლარი.

ანალოგიური საინვესტიციო აქტიურობაა სხვა რაიონებშიც. თუ აღნიშნულს დავამატებთ სამუშაოებს ქუჩების, საცხოვრებელი კორპუსების (თანდაფინანსებით მოსახლეობის მხრიდან), საქვალაქო შიდა კომუნიკაციების კეთილმოწყობის, კულტურის, დასასვენებელი და გასართობი ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის ხაზით, ნათელი წარმოსადგენია, თუ როდენ ფართომასშტაბიან სოციალური ინვესტირების პროგრამასთან გვაქვს საქმე.

ზემით მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი მოცულობის სახსრებია გამოყოფილი სამინისტროებისა და უწყებებისათვის, რომლებიც განახორციელებენ თავიანთი დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრაქტიკულად სრულ რეაბილიტაციას. ეს პირველ რიგში ითქმის განათლების სისტემაზე, სადაც სკოლების ოპტიმიზაციის პროგრამის ფარგლებში, სამინისტროს მიერ, მუნიციპალური განვითარების ფონდსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ერთად,

თითქმის ყველა რაიონში ხორციელდება ახალი სკოლების მშენებლობა, არსებულის რეაბილიტაცია და მათი უზრუნველყოფა გათბობისა და გაზიფიცირების სისტემებით.

– როგორია მთავრობის მხრიდან საინვესტიციო პროექტებზე მონიტორინგის განხორციელების მექანიზმი?

– აქ დგას არამარტო მონიტორინგის, არამედ, მასთან ერთად, უპირველესად საინვესტიციო საქმიანობის კოორდინაციის ამოცანა. როგორც აღინიშნა, ინვესტიციები დივერსიფიცირებულია როგორც განხორციელების სფეროების, ასევე, დაფინანსების წყაროების მიხედვით.

რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტი თვალყურს ადევნებს პროექტების შესრულებას ყველა ეტაპზე (დაწყება-დაბოლოება, სატენდერო საქმიანობა, კონტრაქტორების მიერ სამუშაოს შესრულება). ამასთან ერთად, დაფინანსებლებსა და თვითმმართველობებს ვაძლევთ სახსრების რაციონალურად წარმართვის რეკომენდაციებს. მოგეხსენებათ, ერთი და იმავე სფეროში ინვესტირება ხორციელდება შესაბამისი სამინისტროს ან უწყების, მუნიციპალური განვითარების ფონდის, ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრებით. ამდენად, აქ მთავარია, მაქსიმალურად იქნას მიღწეული სახსრების რაციონალურად განაწილება, რათა ადგილი არ ჰქონდეს გაუმართლებელ პრაქტიკულსა და დუბლირებას საინვესტიციო საქმიანობაში.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ დეპარტამენტი პერიოდულად (ყოველთვიურად) ამხადებს და პრემიერ მინისტრს წარუდგენს ინფორმაციას რეგიონებში განხორციელებული საინვესტიციო პროექტების მიმდინარეობის შუალედური შედეგების შესახებ.

– ეს საინვესტიციო აქტიურობა რამდენად შეუწყობს ხელს ქვეყანაში წარმოების გადიდებას, მოსახლე-

ანალიზი

მთავარი გვერდი

ობის დასაქმებასა და სხვა სოციალური პრობლემების გადაწყვეტას?

– ჯერ ერთი, ზემოაღნიშნული ინვესტიციები, თავისთავად მნიშვნელოვანია მოსახლეობის დასაქმების თვალსაზრისით, რამეთუ მათ განხორციელებაში ჩართულია ადგილობრივი შრომითი რესურსები;

მერეს მხრივ, ეს საინვესტიციო პროგრამა ქმნის აუცილებელ პირობებსა და სტიმულებს როგორც სამამულო, ისე უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და დაბანდებისათვის.

– გარდა აღნიშნულისა, დამატებით რა ღონისძიებები ხორციელდება რეგიონებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით?

საკართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით მთავრობის კანცელარიის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტის მიერ ცალკე-ცალკე, ქვეყნის თითოეული მხარის მიხედვით, მომზადდა სოციალურ-ეკონომიკური პასპორტები. პასპორტების შემუშავებაში ჩართული იყვნენ შესაბამისი მხარის მუნიციპალიტეტების სამსახურები.

პასპორტი მოიცავს დეტალურ მხარის ზოგადგეოგრაფიულ დახასიათებას, დემოგრაფიულ მდგომარეობას, მოსახლეობის დასაქმებისა და ცხოვრების დონის მაჩვენებლებს. დახასიათებულია მხარის სოციალური ინფრასტრუქტურა (განათლება, კულტურა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები), რაიონული მუნიციპალიტეტების ბიუჯეტები და ეკონომიკური განვითარების დონე სექტორების მიხედვით: მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ენერჯეტიკა, საფინანსო-საბანკო, საინფორმაციო მომსახურება და სხვ.

პასპორტში მოტანილია ინფორმაცია მხარეში არსებული მინერალური და რეკრეაციული რესურსების შესახებ. დახასიათებულია მათ ბაზაზე წარმოებისა და მომსახურების სფეროს (განსაკუთრებით ტურიზმის) განვითარების შესაძლებლობები. რეკომენდირებულია მხარეში საინვესტიციო საქმიანობის სფეროები და მიმართულებები.

პასპორტი განკუთვნილია მხარეში საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებით დაინტერესებულ პირთათვის.

აღნიშნული პასპორტები წარმოადგენენ ერთგვარ გაზამკვლევს უცხოელი ინვესტორებისათვის. პასპორტი არის კითხვადი და ლაკონურად მოიცავს საწყის ეტაპზე პოტენციური ინვესტორისათვის საინტერესო ყველა აუცილებელ ინფორმაციას მოცემული მხარის შესახებ.

– მთავრობის კანცელარიის რეგიონალურ საკითხთა დეპარტამენტი წარმოადგენს ერთადერთ მაკოორდინირებელ ორგანოს ცენტრსა და რეგიონებს შორის. იგი ლობივებს და იცავს თვითმმართველი ორგანოების ინტერესებს სასჯლისუფლო სტრუქტურებში. გამომდინარე აქედან, მრავალმხრივია რეგიონალური პრობლემები და მრავალფეროვანია დეპარტამენტის საქმიანობა. ზემოაღნიშნულის გარდა რა ძირითად მიმართულებებს გამოჰყოფდით თქვენს მომავალ საქმიანობაში?

– დასაწყისში მოგახსენებ დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციების შესახებ. მოკლედ თუ ვიტყვით, ჩვენი კომპლექსური ამოცანაა, პირველ რიგში, მიღწეულ იქნას რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სათანადო დონე და ამ საქმეში თვითმმართველობის ორგანოთა როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლება, მუნიციპალიტეტების მიერ ეკონომიკის რეგულირების ფუნქციის სრულად და ეფექტიანად შესრულება.

დეპარტამენტი დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად განხორციელებს მაკოორდინირებელ ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო მიწების პრობლემებისა და მიწის ბაზრის ჩამოყალიბების, რეგიონებში მეწარმეობის განვითარებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ფერმერთა სათანადო ტექნიკური და მატერიალური საშუალებებით ხელშეწყობის და სხვა მიმართულებით.

მეცნიერება

საქართველოს საგარეო ურთიერთობების სისტემა



**დავით
ნარმანიძე**
ეკონომიკურ
მეცნიერებათა
კანდიდატი,
თსუ პროფესორი



**ელგუჯა
ხოკრიშვილი**
გერმანიის
ქ. პოტსდამის
უნივერსიტეტის
დოქტორანტი

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „ახალი ეკონომისტი“ №1, 2006წ; №1, 2, 3-4, 5, 6, 2007წ)

აქციზი. აქციზს უკანასკნელი წლებში საქართველოს საბიუჯეტო შემოსავლებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. 2001-2005 წლებში მთლიან საგადასახადო შემოსავლებში აქციზის სახით მობილიზებული სახსრების ზვედრითი წილი ყოველწლიურად 8-დან 12 პროცენტამდე მერყეობდა. გადასახასის ეს სახეობა 1992 წელს იქნა შემოღებული. ამ დროიდან დღემდე, აქციზური პროდუქციის სახეობები და განაკვეთები, ასევე მათი დაბეგვრისა და ადმინისტრირების წესები საქართველოში რამდენჯერმე შეიცვალა.

1997 წლიდან დღემდე საქართველოში აქციზური პროდუქციის შემდეგი სახეობები არსებობს:

- ✓ ღვინოები და ღვინომასალა;
- ✓ სპირტიანი სასმელები და ლუდი;
- ✓ თამბაქოს ნაწარმი;
- ✓ მსუბუქი ავტომობილები;
- ✓ ბუნებრივი გაზის კონდენსატი, გარდა მილსადენისა;
- ✓ ნავთობის მძიმე, საშუალო და მსუბუქი დისტილატები;
- ✓ ზეთები და ქვანახშირის ფისებისაგან მაღალ ტემპერატურაზე გამოხდილი სხვა პროდუქტები;

✓ ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები;

✓ ნავთობი და ნავთობპროდუქტები, მიღებული ბიტუმოვანი მინერალებისაგან, გარდა ნელლი ნავთობისა;

✓ მისართი, გამხსნელი, ანტიდეტონატორი;

✓ არამინერალური ზეთები.

2005 წლის 1 იანვრიდან ამ ნუსხას დაემატა შავი და ფერადი ლითონების ჯართი. ამავე პერიოდიდან აქციზური პროდუქციის ძირითად სახეობებზე გაიზარდა აქციზის განაკვეთები (ცხრილი №3). აქციზი წარმოადგენს არაპირდაპირ გადასახადს, რომელშიც შედის აქციზური საქონლის სარეალიზაციო ფასში. საქართველოში აქციზი შემოღებულ იქნა 1992 წლის 15 მარტიდან.

აქციზი, როგორც წესი, წესდება მასობრივი მოხმარების საქონელზე და იგი შედის განსაზღვრული საქონლის ფასში. მრავალსაფეხურიანი დღგ-ისაგან განსხვავებით, აქციზის გადახდა წარმოებს ბიუჯეტში ერთხელ, აქციზური საქონლის მწარმოებლის ან იმპორტიორის მიერ და ფაქტობრივად მისი ტვირთი საქონლის მომხმარებელზე გადადის. სწორედ ამიტომ, არაპირდაპირი გადასახადები და მ.შ. აქციზი ატარებს რეგრე-

საქართველოს საგარეო ურთიერთობების სამსახური



ახალი მემონტისტი

სულ ხასიათს. აქციზი ერთ შემთხვევაში წარმოადგენს ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს, ხოლო მეორე შემთხვევაში მოთხოვნის და მიწოდების რეგულირების საშუალებას. აქციზი ზღუდავს ზემოვთხრობის მიღებას. სწორედ ამ მიზნით მთელ რიგ ქვეყნებში აქციზით იბეგრება მინერალური ნედლეულის მოპოვებელი კომპანიები. იმი-სათვის, რომ შემსუბუქდეს აქციზის ნეგატი-ური ზემოქმედება მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენებისათვის, აქციზური საქონლის რიცხვში ტრადიციულად შედის ფუფუნების საგნები (საიუველირო ნაწარმი, ბეწვეული, მსუბუქი ავტომანქანები და ა.შ.).

საქართველოში აქციზური საქონლის ნუსხა განსაზღვრულია საქართველოს სა-გადასახადო კოდექსით. აქციზის მოქმედი გა-ნაკვეთები იყოფა სპეციფიკურ (რომლებიც დადგენილია მყარ თანხებში) და ადვალურ (პროცენტულ) განაკვეთებად:

აქციზური საქონლის ექსპორტი იბე-გრება ნულოვანი განაკვეთით, გარდა შავი და ფერადი ლითონების ჯართისა.

- აქციზის გადამხდელია პირი, რომელიც:
 - აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში;
 - ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში;
 - ახორციელებს შავი ან/და ფერადი ლითონების ექსპორტს.

დამკვეთის ნედლეულით საქართველოში წარმოებულ საქონელზე აქციზის გადა-მხდელად ითვლება საქონლის მწარმოებე-ლი.

- აქციზით დაბეგრის ობიექტია:
- დასაბეგრი ოპერაცია;
 - საქართველოში აქციზური საქონლის იმპორტი.

აქციზით დასაბეგრი ოპერაციებია:

- ◆ საქართველოში წარმოებული აქციზური საქონლის მიწოდება;

- ◆ საწარმოს საწყობიდან აქციზური საქონ-ლის გატანა;

- ◆ დამკვეთის ნედლეულით საქართველო-ში წარმოებული აქციზური საქონლის გადა-ცემა დამკვეთისათვის;

- ◆ საკუთარი წარმოების აქციზური საქონ-ლის გამოყენება არააქციზური საქონლის წარ-მოებისათვის;

- ◆ აქციზური საქონლის ექსპორტი.

აქციზისაგან გათავისუფლებულია:


- ფიზიკური პირის მიერ საკუთარი მოხ-მარებისათვის წარმოებული ალკოჰოლური სასმელები;

- ფიზიკური პირის მიერ 2 ლიტრი ალკოჰოლური სასმელისა და 200 ლერი სი-გარეტის იმპორტი;

- საქართველოში ავტოსატრანსპორტო საშუალებით შემომსვლელი პირის ავტოსა-ტრანსპორტო საშუალების იმ სტანდარტ-ულ ავზში არსებული საწვავი, რომელიც ძრავის კვების სისტემასთან კონსტრუქციუ-ლად და ტექნოლოგიურად არის დაკავშირე-ბული;

- აქციზური საქონლის ტრანზიტი და დროებით შემოტანა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე. საქართველოს საბაჟო ტერ-იტორიაზე აქციზური საქონლის დროებით შემოტანისას (გარდა აქციზური საქონლის დროებით შემოტანისა, აგრეთვე იმ მსუბუქი ავტომობილების დროებით შემოტანისა, რომ-ლებიც განკუთვნილია უცხოეთის დიპლომა-ტიურ და მასთან გათანაბრებულ წარმომად-გენლობათა ოფიციალური სარგებლობისათვის, ამ წარმომადგენლობათა დიპლომატიური და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვ-ლით) პირადი სარგებლობისათვის, იმ სახით, რა სახითაც ასეთი გათავისუფლება გათვალ-ისწინებულია შესაბამისი საერთაშორისო შუთანხმებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო, და მსუბუქი ავტომობილების დროებით შემოტანისა, რომლებიც განკუთვ-

მეცნიერება



ცხრილი №3.

აქციზის განაკვეთები საქართველოში 2005 წლის 1 იანვრამდე და შემდგომ პერიოდში ძირითად აქციზურ პროდუქციაზე

აქციზური პროდუქციის სახეობა	ზომის ერთეული	2005 წლის 1 იანვრამდე	2005 წლის 1 იანვრიდან	განაკვეთის ზრდა/კლება
ცქრილა და შუშხუნა ღვინოები (მათ შორის შამანური)	1 ლიტრი	0.5 ლარი	0.7 ლარი	+0.2 ლარი
შემაგრებული ღვინოები				
ჩამოსხმული	1 ლიტრი	1.0 ლარი	1.2 ლარი	+0.2 ლარი
ჩამოსასხმელი		0.5 ლარი	0.7 ლარი	+0.2 ლარი
ეთილის სპირტი	1 ლიტრი	0.7 ლარი	1.3 ლარი	+0.5 ლარი
სპირტიანი სასმელები, რომლებიც მიღებულია ყურძნის ღვინის ან ჭაჭის დისტილაციით	1 ლიტრი	2.0 ლარი	2.3 ლარი	+0.3 ლარი
ვისკი, რომი, ტაფია, ჯინი და ღვინის ნაყენი	1 ლიტრი	2.0 ლარი	2.5 ლარი	+0.5 ლარი
არაკი	1 ლიტრი	1.0 ლარი	1.5 ლარი	+0.5 ლარი
ლიქიორი და ტკბილი ნაყენი	1 ლიტრი	2.0 ლარი	2.3 ლარი	+0.3 ლარი
ლუდი	1 ლიტრი	0.12 ლარი	0.2 ლარი	+0.08 ლარი
ა. თამბაქოს ნაწარმის იმპორტი (თამბაქოს ნედლეულის გარდა):				
- სიგარა, სიგარულა	1 ღერი	0.6 ლარი	0.9 ლარი	+0.3 ლარი
- ფილტრიანი სიგარეტი	20 ღერი	0.4 ლარი	0.9 ლარი	+0.5 ლარი
- ყველა დანარჩენი უფილტრო სიგარეტი და პაპიროსი	20 ღერი	0.2 ლარი	0.3 ლარი	+0.1 ლარი
- სამრეწველო დამზადების სხვა თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები	1 კგ	20 ლარი	20 ლარი	+0.0 ლარი
ბ. ადგილობრივი წარმოების თამბაქოს ნაწარმი (თამბაქოს ნედლეულის გარდა):				
- სიგარა, სიგარულა	1 ღერი	0.6 ლარი	0.7 ლარი	+0.1 ლარი
- ფილტრიანი სიგარეტი	20 ღერი	0.25 ლარი	0.7 ლარი	+0.45 ლარი
- ყველა დანარჩენი უფილტრო სიგარეტი და პაპიროსი	20 ღერი	0.1 ლარი	0.2 ლარი	+0.1 ლარი
- სამრეწველო დამზადების სხვა თამბაქო და თამბაქოს სამრეწველო შემცველები	1 კგ	20 ლარი	20 ლარი	+0.0 ლარი
მსუბუქი ავტომობილები		საბაჟო ღირებულების 15%	ძრავის მოცულობის სმ ³ -ზე 0,5-დან 1,5 ლარამდე, წლოვანების მიხედვით	-
ნავთობის დისტრილატები:				
მსუბუქი (ბენზინი)	1 ტონა	200 ლარი	250 ლარი	+50 ლარი
საშუალო (ნავთი)		200 ლარი	220 ლარი	+20 ლარი
მძიმე (დიზელი)		100 ლარი	150 ლარი	+50 ლარი
შავი ან/და ფერადი ლითონების ჯართის ექსპორტი	1 ტონა	-*	25 ლარი	-

ახალი კონომისტ

წყარო: „საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები“, კვარტალური მიმოხილვა, მარტი 2006, GEPLAC.

შენიშვნა: * აღნიშნული პროდუქცია 2005 წლის 1 იანვრამდე აქციზით არ იბეგრებოდა



ახალი ეპიდემიისტი

ნილია ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიებისა და მოპოვების სამუშაოების და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ერზრუმის მილსადენების მშენებლობაში) შესრულების უზრუნველსაყოფად დასაქმებული უცხო ქვეყნის მოქალაქეების (მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა ჩათვლით) პირადი სარგებლობისათვის), ასევე იმ აქციზური საქონლის დროებით შემოტანისას, რომელსაც გაუგრძელდა საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე დროებით ყოფნის ვადა, გადაიხდებინება აქციზი ან საბაჟო ორგანოს მიერ დაიტოვება საბანკო გარანტია, ხოლო საქართველოდან აღნიშნული საქონლის გატანისას გადასახადის გადამხდელს უბრუნდება აქციზის გადახდილი თანხა ან უქმდება საბანკო გარანტია ფაქტობრივად გატანილი საქონლის ღირებულების მიხედვით;

▪ საავიაციო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საავიაციო საწვავის იმპორტი საბაჟო ორგანოებისათვის საბანკო გარანტიის წარდგენის საფუძველზე;

▪ „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების განსახორციელებლად ნავთობპროდუქტების იმპორტი ან/და მიწოდება;

▪ მისართების, გამხსნელის და ანტიდეტონატორის იმპორტი, თუ იგი არ გამოიყენება აქციზური საქონლის წარმოებისათვის. აღნიშნული საქონლის იმპორტისას გადაიხდებინება აქციზი, ხოლო საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ, რომელიც ადასტურებს, რომ საქონელი არ იქნა გამოყენებული აქციზური საქონლის წარმოებისათვის, გადასახადის გადამხდელს საბაჟო ორგანოები უბრუნებენ აქციზის გადახდილ თანხას;

▪ საერთაშორისო საზღვაო რეისების განსახორციელებლად ბორტზე მისაწოდებელი საწვავისა და საპოხი საშუალებების იმპორტი საბაჟო ორგანოებისათვის საბანკო გარანტიის წარდგენის საფუძველზე.

აქციზით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე აქციზური მარკების სავალდებულო დართვას ექვემდებარება:

▪ ალკოჰოლიანი სასმელები, მათ შორის, ლუდი, რომელშიც ალკოჰოლის შემცველობა აღემატება 1,15 გრადუსს (გარდა 50 გრამსა და მასზე ნაკლები ტევადობის, აგრეთვე 10 ლიტრზე მეტი მოცულობის ჭურჭელში ჩამოსხმულისა);

▪ თამბაქოს ნაწარმი, მოსაწვეი (ჩიბუხის) თამბაქოს გარდა.

აკრძალულია:

♦ აქციზური მარკებით ნიშანდების გარეშე მარკირებას დაქვემდებარებული საქონლით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელება;

♦ 10 ლიტრზე მეტი მოცულობის ჭურჭელში ჩამოსხმული ალკოჰოლური სასმელების (გარდა ლუდისა და ღვინისა) საცალო ქსელში მიწოდება.

მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის ნიშანდება ხდება საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

ქონების გადასახადი. ქონების გადასახადი საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად განეკუთვნება ადგილობრივ გადასახადს, ამიტომ მისი შემოდების უფლება საგადასახადო კოდექსით დადგენილი ზღვრის ფარგლებში გააჩნიათ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს – საკრებულოებს.

ქონების გადასახადის გადამხდელია პირი (აგრეთვე ლიზინგით საგნის მფლობელი პირი), რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე:

➤ საკუთრებაში აქვს ამ გადასახადით დაბეგვრის ობიექტი;

➤ კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში აქვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა (ფაქტობრივ მფლობელობაში იგულისხმება მიწის ფაქტობრივი ფლობა ან მიწით სარგებლობა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მიწის ფლობისა და მიწით კანონიერი სარგებლობისა).

საქართველოს საწარმოსათვის ქონების (გარდა მიწისა), გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებული მოწყობილობები, დაუმთავრებელი კაპიტალური დაბანდვანი და არამატერიალური აქტივები. უცხოური საწარმოსათვის ქონების (გარდა მიწისა), გადასახადით დაბეგვრის ობიექტია საქართველოს ტერიტორიაზე რიცხული ქონება. ორგანიზაციებისათვის ქონების (გარდა მიწისა), გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის ბალანსზე რიცხული ქონება ან ქონების ნაწილი, რომელიც გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის.

ფიზიკური პირისათვის ქონების (გარდა მიწისა) გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მის საკუთრებაში არსებული:

▪ უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;

▪ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონება;

▪ გ) საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული მსუბუქი ავტომობილები (საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის 8703 კოდით გათვალისწინებული საქონელი);

▪ საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებული იახტები (კატარღები), თვითმფრინავები, შვეულმფრენები.

საქართველოს ან უცხოური საწარმოსათვის, ორგანიზაციისათვის ან/და ფიზიკური პირისათვის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

◆ საკუთრებაში არსებული მიწა;

◆ საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა.

საქართველოს საწარმოსათვის, უცხოური საწარმოსათვის, ორგანიზაციებისათვის (გარდა მიწისა), ქონების გადასახადის განაკვეთით განისაზღვრება საშუალო წლიური საბალანსო ნარჩენი ღირებულების (გამოიანგარიშება წლის დასაწყისისა და წლის ბოლოსათვის აქტივების საშუალო ღირებულების მიხედვით) არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით.


ფიზიკური პირების მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ქონების ღირებულების არა უმეტეს 1 პროცენტის ოდენობით.

ფიზიკური პირების უძრავი ქონებაზე (შენობა-ნაგებობები ან მათი ნაწილი), გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებაზე, გადასახადის განაკვეთი დიფერენცირებულია გადასახადის გადამხდელის ოჯახის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების მიხედვით და განისაზღვრება შემდეგი ოდენობით:

▪ 60 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,05 პროცენტისა და არა უმეტეს 0,2 პროცენტისა;

▪ 60 000 ლარიდან 100 000 ლარამდე შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,2 პროცენტისა და არა უმეტეს 0,4 პროცენტისა;

ახალი კოეფიციენტი



მეცნიერება

▪ 100 000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის – უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ 0,4 პროცენტისა და არა უმეტეს 0,8 პროცენტისა.

მსუბუქ ავტომანქანებზე გადასახადის განაკვეთი დიფერენცირებულია მსუბუქი ავტომობილის სახეობების ძრავის მოცულობის და ხნოვანების მიხედვით და შეადგენს არა უმეტეს:

ახალი ამონომისტი

მსუბუქი ავტომობილის სახეობა ძრავის მოცულობის მიხედვით		მსუბუქი ავტომობილის ხნოვანება	გადასახადის ოდენობა (ლარებში)
1	2000 სმ ³ -მდე (ჩათვლით) მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი	1 წლამდე (ჩათვლით)	50
		1-დან 3 წლამდე (ჩათვლით)	40
		3-დან 4 წლამდე (ჩათვლით)	30
		4-დან 5 წლამდე (ჩათვლით)	20
		5-დან 6 წლამდე (ჩათვლით)	10
		6 წელზე მეტი	5
2	2001 სმ ³ -დან 3000 სმ ³ -მდე (ჩათვლით) მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი	1 წლამდე (ჩათვლით)	150
		1-დან 3 წლამდე (ჩათვლით)	130
		3-დან 4 წლამდე (ჩათვლით)	110
		4-დან 5 წლამდე (ჩათვლით)	80
		5-დან 6 წლამდე (ჩათვლით)	25
		6 წელზე მეტი	5
3	3000 სმ ³ -ზე მეტი მოცულობის ძრავის მქონე მსუბუქი ავტომობილი	1 წლამდე (ჩათვლით)	300
		1-დან 3 წლამდე (ჩათვლით)	250
		3-დან 4 წლამდე (ჩათვლით)	200
		4-დან 5 წლამდე (ჩათვლით)	100
		5-დან 6 წლამდე (ჩათვლით)	50
		6 წელზე მეტი	5

საქართველოში დადგენილი წესით რეგისტრირებულ იაზტებზე (კატარღებზე), თვითმფრინავებზე, შვეულმფრენებზე გა-

დასახადის განაკვეთები დიფერენცირებულია მათი სახეობებისა და ძრავის სიმძლავრის მიხედვით:

მეცნიერება

სატრანსპორტო საშუალების სახეობა	საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურის კოდი	ვადასახადის განაკვეთი ძრავის 1 ცხენის ძალაზე წელიწადში
1. იახტა (კატარლა)	890310900 890392100 890392990 890399990	არანაკლებ 3 ლარისა და არა უმეტეს 7 ლარისა
2. თვითმფრინავი	8802 20 8802 30 8802 40	არანაკლებ 2 ლარისა და არა უმეტეს 5 ლარისა
3. შვეულმფრენი	8802 11 8802 12	არანაკლებ 2 ლარისა და არა უმეტეს 5 ლარისა

ფიზიკურ ან იურიდიულ პირთათვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთი დიფერენცირებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისა და მიწის ხარისხის მიხედვით და დგინდება წელიწადში ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, ლარებში:

ა) სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწებისათვის:

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)	
	მიწის ხარისხის კარგა	სწორი
1. თბილისი, მარნეული	57	31
2. ბოლნისი, გარდაბანი	52	27
3. რუსთავი	51	27
4. ბათუმი, გავრა, გალი, გულაუთა, გულრიფში, ოჩამჩირე, სოხუმი	51	27
5. ქობულეთი, ხელვაჩაური, გურჯაანი, დედოფლისწყარო	44	24
6. თელავი, ლაკოდეხი, სიღნაღი	43	22
7. ყვარელი, გორი, მცხეთა, ახმეტა, დმანისი, ერედვი	39	21
8. კასპი, თეთრიწყარო, სამტრედია	38	20
9. საგარეჯო, ქარელი, ხაშური	36	20
10. ქუთაი, წალკა	34	19
11. აბაშა, ზუგდიდი	34	18
12. ახალქალაქი, ახალციხე	34	19
13. მარტვილი, სენაკი, ხობი, ფოთი	33	17
14. ნინოწმინდა	33	17
15. ახალგორი, ეანი, ზესტაფონი, ლანჩხუთი, ოზურგეთი	30	15
16. ბაღდათი, თერჯოლა, ხონი, ქუთაისი	28	15
17. წალენჯიხა, წყალტუბო, ჩხოროწყუ	24	13
18. საჩხერე, ცაგერი, ცხინვალი	22	12
19. ამბროლაური, დუშეთი, თიანეთი, ადიგენი, ბორჯომი	18	11
20. ასპინძა, ტყებული, ხულო, ქედა	17	9
21. შუახევი, ხარაგაული, კიათურა, ლენტეხი, ონი, ჩოხატაური, მესტია, ყაზბეგი, ჯავა	13	8

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

მეცნიერება

ბ) ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისათვის:

ახალი გეონომისტ

ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება	საბაზისო განაკვეთი (ლარი/ჰა)			
	სათიბები	საძოვრები	გაკულტურებულ	
			სათიბები	საძოვრები
1. აბაშა, ახალქალაქი, გორი, ბათუმი, ბოლნისი, გაგრა, გალი, გარდაბანი, გუდაუთა, გურჯისტან, გურჯაანი, დედოფლისწყარო, დმანისი, ზუგდიდი, თბილისი, თეთრიწყარო, თელავი, ლაგოდეხი, ლანჩხუთი, მარნეული, მცხეთა, ნინოწმინდა, ოზურგეთი, ოჩამჩირე, რუსთავი, სამტრედია, სენაკი, სიღნაღი, სოხუმი, ქუთაისი, ქობულეთი, ყვარელი, წალკა, წყალტუბო, ხელვაჩაური, ხობი, ფოთი	6	3	8	4
2. აღიგენი, ასპინძა, ახალგორი, ბაღდათი, ბორჯომი, ვანი, ზესტაფონი, თერჯოლა, თიანეთი, კასპი, მარტვილი, საგარეჯო, საჩხერე, ტყებუღი, ქარელი, ქედა, შუახევი, ჩოხატაური, ჩხოროწყუ, წალენჯიხა, ხარაგაული, ხაშური, ხონი, ხულო, ახალციხე	4	2	7	3
3. ამბროლაური, ახმეტა, დუშეთი, ლენტეხი, მესტია, ონი, ყაზბეგი, ცაგერი, ცხინვალი, ჭიათურა, ჯავა	2,5	1,5	4	2

მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო განაკვეთები კონკრეტული მიწის ნაკვეთისათვის მიწის ხარისხისა და მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით განისაზღვრება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების გადაწყვეტილებით. ამასთანავე, ამ განაკვეთების ოდენობა შეიძლება იყოს შესაბამის საბაზისო განაკვეთზე არანაკლებ 50 პროცენტისა და არა უმეტეს 150 პროცენტისა.

ფიზიკურ ან იურიდიულ პირთათვის, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადის საბაზისო განაკვეთი დგინდება წელიწადში მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე ქონების არა უმეტეს 0,24 ლარის ოდენობით და მრავლდება საკრებულოს მიერ დამტკიცებულ შესაბამის კოეფიციენტზე. კოეფიციენტის ოდენობა არ შეიძლება იყოს 1,5-ზე მეტი.

ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრებისათვის დადგენილი განაკვეთით იბეგრება ბუნებრივი რესურსებით მოსარგებლე პირისათვის შესაბამისი ლიცენზიის გაცემის საფუძველზე გამოყოფილი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა.

ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია:

- ფიზიკური პირი, რომლის ოჯახის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავალი არ აღემატება 40 000 ლარს;
- 2007 წლის 1 იანვრამდე ჟურნალ-გაზეთების საგამომცემლო საქმიანობით დაკავებული პირების ბალანსზე არსებული და ამ საქმიანობაში უშუალოდ გამოყენებული ქონება;
- მიწის ის ფართობები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავებული სარკინოზო ტრანსპორტის ძირითადი საქმიანობისათვის, მათ შორის ლიანდაგებისა და სალიანდაგო დისტანციების,



სავაეონო და სალოკომოტივო დეპოების, რკინიგზის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი შენობა-ნაგებობებისა და კომუნიკაციების, სარკინიგზო კოდექსით განსაზღვრული გასზვიების ზოლისა და დამკავი ზონის მიერ, გარდა სამედიცინო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საჯარო, სპორტულ და უშუალოდ რკინიგზის ფუნქციონირებასთან კავშირში არმყოფი ობიექტების მიერ დაკავებული მიწებისა. აგრეთვე მიწის გადასახადისაგან არ თავისუფლდება რკინიგზის ვაგზის შინაობის ქვეშ არსებული მიწის ფართობები;

- ბუნების დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოებისათვის გამოყენებული ქონება, გარდა მიწისა;

- მიმოსვლის გზები, საკომუნიკაციო და ელექტროგადამცემი ხაზები;

- საქართველოს სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების საიტალაონო და სასტენდო მოწყობილობები;

- ორგანიზაციის ქონება, გარდა მიწისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;

- „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების საწარმოებლად გამოყენებული ქონება;

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც გადაცემული აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციას, გარდა სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოყენებული მიწებისა;

- ბუნებისა და ისტორიული ძეგლების დაცვის ორგანიზაციების მიწის ფართობები, რომლებზედაც განლაგებულია სახელმწიფოს მიერ ისტორიულ, კულტურულ ან/და არქიტექტურულ ძეგლებად მიჩნეული ნაგებობები, თუ ისინი არ გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობისათვის, რომელშიც არ იგულისხმება შესასვლელი ბილიტების რეალიზაცია;

- ბუნებრივი პარკებით, ბოტანიკური და დენდროლოგიური ბაღებით, კულტურისა და დასვენების მუნიციპალური პარკებით ან/და სასა-

ფლაოებით, ზოოლოგიური ბაღებით ან/და პარკებით, ოკეანურიპებით, სკვერებით, ხეივანებით, დაცული ტერიტორიებით, სატყეო ორგანიზაციებით, აგრეთვე ღია საუწყებო პარკებით, ბაღებით და ტყე-ბაღებით დაკავებული მიწები, გარდა ამ ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ნაკვეთებისა;

- ქალაქის წყალსაცავებით და მათი აკვადორიებით დაკავებული ის მიწები, რომლებიც გამოიყენება სატრანსპორტო და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის და არ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და ეკონომიკური საქმიანობისათვის;

- ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრების, გარემოს დაბინძურების კონტროლის სადგურებისა და დანადგარების ფუნქციონირებისათვის გამოყენებული მიწები;

- სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებისათვის, ელექტროსადგურებისა და სამელიორაციო სისტემებისა და მათი ფუნქციონირებისათვის განკუთვნილი წყალსაცავებით დაკავებული მიწები და ამ ობიექტების სანიტარიულ-დაცვითი და ტექნიკური ზონები;

- „ნავთობისა და გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნავთობისა და გაზის ოპერაციების (საქმიანობის) საწარმოებლად გამოყენებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი სხვა მიზნით არ გამოიყენება;

- საქართველოს გემების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებული და საქართველოს სახელმწიფო აღმთი მცურავი გემები, გარდა საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დაბეგვის ობიექტისა;

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომელთა ნაყოფიერი ფენაც სანახევროდ ან მეტადაა დაზიანებული სტიქიის შედეგად;

- ქუთონის, ერედვისა და თიღვის თემები, სოფლები ავანევი და ნული დ დროებით, კონფლიქტის მოგვარებამდე და ეკონომიკური სიტუაციის მოწესრიგებამდე;

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული და გამოყენებული სათიბები, საძოვრები,

ახალი ამონაბეჭდი

25667

საქართველოს
პარლამენტი
ეროვნული
დაგეგმვისა

საქართველოს
საგარეო
სამსახური

სარეკლავიკაციო და სამარავო სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;

- ის მიწები, რომლებიც გამოიყენება აეროდრომების, აეროპორტების, ვერტოდრომებისა და აერონავიგაციის უსაფრთხოების ზონებად და მიწისქვეშა კომუნიკაციებისათვის, აგრეთვე ნავსადგურებისათვის პერსპექტიული განვითარების მიზნით დამატებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

- ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებმაც მიიღეს ახალსათვისებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები და მიღებიდან 5 წლის განმავლობაში;

- სასოფლარების ტერიტორიაზე, აგრეთვე განსახლების სახელმწიფო ღონისძიებათა შესაბამისად დასახლებულ მოქალაქეთა ოჯახები და დასახლებებიდან 5 წლის განმავლობაში;

- 2004 წლის 1 მარტის მდგომარეობით ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული, 5 კექტრამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები;

- „მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უზუფრუქტის ხელშეკრულებით გადაცემული სახელმწიფო საკუთრების სამელიორაციო ინფრასტრუქტურა, აგრეთვე 2014 წლის 1 იანვრამდე პიძების მელიორაციის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სამელიორაციო ასოციაციებისათვის გადაცემული, მათი მომსახურების ტერიტორიაზე არსებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა;

- მეორე შსოფლიო ომის ინვალიდები და მათთან გათანაბრებული პირები ღირებულების წესით მიღებულ მიწის ნაკვეთებზე;

- მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული, კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობზე განლაგებული რაიონებისა და აჭარა-გურიის მთიანეთის სოფლების, თემებისა და დაბების მცხოვრებნი და მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე. სამხრეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოცემულ ტერიტორიებზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე მიწის გადასახადი უმცირდებათ 50 პროცენტით;

- სამედიცინო საქმიანობისათვის გამოყენებული სამედიცინო დაწესებულებათა ქონება, გარდა მიწისა;

- სამედიცინო დაწესებულებებზე დამატებული მიწის ნაკვეთები, თუ ისინი არ გამოიყენება არასამედიცინო ეკონომიკური საქმიანობისათვის;

- სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო, საცდელ-სასწავლო, ექსპერიმენტული, ვიზუალური გამოცდის მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება სამეცნიერო და სასწავლო მიზნებისათვის და რომლებზედაც სამუშაოები ფინანსდება ბიუჯეტდიან;

- მიწის ნაკვეთები, რომლებიც გამოიყენება უსინათლოების, ცრუ-მუხრების, ვირებრივად ჩამარჩნელი და ფიზიკურად განუვითარებელი ბავშვების, ომის ვეტერანთა საზოგადოებების, მოხუცებულთა და ბავშვთა სახლების, მოზარდთა სოციალური ადაპტაციისა და შრომითი რეაბილიტაციის ცენტრების მირთავიანთი ძირითადი ფუნქციების შესრულებისათვის და ფინანსდება ბიუჯეტდიან; მიწის ნაკვეთები, გამოყენებული ბავშვთა სახლების, სპეციალური სკოლა-ინტერნატების, ბავშვთა სოფლებისა და საბავშვო ბაღების მირ, რომლებიც უსაყვდილოდ ეწყვიან ბავშვთა მოვლა-აზრდას და მათთვის განათლების მიცემას, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისათვის;

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, რომლებზედაც მიწეული მოსავლის ნახევარზე მეტიც განადგურდა სტიქიის (ქარიშხალი, სუტყვა, გავლა, წყალდიდობა) და სხვა ფორსმა-ფორული შემთხვევების შედეგად. მიწის გადასახადისაგან გათავისუფლების საფუძეველია ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილება, რომელიც მიიღება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოსთან შეთანხმებით. კომისიის დასკვნა დგება ორჯერ და სტიქიის დამთავრების მომენტიდან 2 კვირის ვადაში და მოსავლის აღების წინ;

- სამონადირეო მეურნეობების მირ დაკავებული მიწები.

დადგენილი საგადასახადო შეღავათები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც შეღავათების მქონე ფიზიკური ან იურიდიული პირი მის საკუთრებაში, მფლობელობაში ან სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთს (ან მის ნაწილს) ან/და შერობა-



მეცნიერება

ნაგებობებს (ან მათ ნაწილს) ოჯარი გადასცემს სხვა ფიზიკურ ან ორჯიდიულ პირს.

სათამაშო ბიზნესის გადასახად-დნი. სათამაშო ბიზნესის გადასახადი, ისევე როგორც კინების გადასახადი, საქართველოს სავადასახადო კოდექსის შესაბამისად განეკუთვნება ადგილობრივ გადასახადს, ამიტომ მისი შემოღების უფლება სავადასახადო კოდექსით დადგინებული ზღვრის ფარგლებში გააჩნიათ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებს – საკრებულოებს.

სათამაშო ბიზნესის გადასახადის გადასახდელად ითვლებიან პირები, რომლებიც ეწყვიან სამუშაოზე საქმიანობას ლატარიებით, კაზინოებით (სამორინეებით), აზარტული და სხვა სათამაშო ბიზნესით და ასეთი საქმიანობა კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ნებართვას.

სათამაშო ბიზნესის გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

- ლატარიის ბილეტების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები;
- აზარტული და მომგებიანი თამაშებისათვის გამოყენებული სათამაშო მგდელები, სათამაშო აპარატები;
- ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროები (სპეციალურად მოწყობილი ადგილი, სადაც მოლარის ან/და სპეციალური აპარატის ან სხვა საშუალებით ხორციელდება ფსონის მიღება ან/და მოგების გაცემა);
- წამახალისებელი გათამაშების საპრიზო ფონდი;
- სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობა.

სათამაშო ბიზნესის გადასახადის განაკვეთების დიფერენცირება ხდება სათამაშო ბიზნესის სახეობის მიხედვით და განისაზღვრება:

- ლატარიების მოწყობაზე - ლატარიის ბილეტების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების არა უმეტეს 20 პროცენტისა;
- კაზინოს (სამორინეს) თითოეულ სათამაშო მგდეაზე - თვეში 5 000-დან 10 000 ლარამდე;
- თითოეულ სათამაშო აპარატზე - თვეში 50-დან 200 ლარამდე;
- ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს თითოეულ სალაროზე - თვეში 300-დან 600 ლარამდე;
- თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10 პროცენტით;

➢ სისტემურ-ელექტრონული ფორმის თამაშობაზე - თვეში 2000-დან 10 000 ლარამდე.

წამახალისებელი გათამაშებისა და ლატარიის მომწყობი (ორგანიზატორები) ვალდებული არიან ადგილობრივ სავადასახადო ორგანოებში ყოველთვიურად წარადგინონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის დეკლარაცია, და გადაიხდონ გადასახადი არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა. წამახალისებელი გათამაშების მომწყობი (ორგანიზატორი) პირის ყოველთვიური გადასახადის ოდენობა განისაზღვრება საანგარიშო თვეში გათამაშებული საპრიზო ფონდის მიხედვით. ამასთან, წამახალისებელი გათამაშების ბოლო საანგარიშო თვეში გადასახადის ოდენობა განისაზღვრება საპრიზო ფონდის ნარჩენი ღირებულებით (თანხით).

კაზინოს (სამორინეს) მგდელების, სათამაშო აპარატებისა და ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროების მოწყობისას თამაშების ორგანიზატორები სათამაშო ბიზნესის გადასახადს იხდიან გადასახადის გადახდის ნიშნების შეტენისას. გადასახადის გადახდის ნიშნში იგულისხმება თამაშების მოწყობის დროს სათამაშო მგდელებსა და სათამაშო აპარატებზე, ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროებზე მისამარებელი ნიშანი, რომელიც დასტურებს გადასახადის გადახდას და თამაშების მომწყობის უფლებას თამაშების მოწყობის ადგილებზე სათამაშო მგდელებისა და სათამაშო აპარატების დადგმასა და ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროების მოწყობაზე. თამაშების მომწყობი (ორგანიზატორი) გადასახადის გადახდის ნიშანს იძენს დაბეგვრის ობიექტის ფაქტობრივ განთავსების ტერიტორიაზე მოქმედი გადასახადის განაკვეთის მიხედვით შესაბამის სავადასახადო ინსპექციამ, საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე. გადასახადის გადახდის ნიშანი რეგისტრაციამ ტარდება შესაბამის სავადასახადო ინსპექციამ, თამაშების მომწყობის (ორგანიზატორის) სახელზე. თამაშების მომწყობები (ორგანიზატორები) გადასახადის გადახდის ნიშანს ამარტებენ სათამაშო მგდელებზე, სათამაშო აპარატებსა და ტოტალიზატორის, ბინგოს, ლოტოს სალაროების თვალსაჩინო ადგილას, თამაშების დაწყების პირველ დღეს და ხსნიან ყოველი საანგარიშო თვის ბოლო სამუშაო დღეს.

ახალი მარცნიერება

ლიზინგის რეგულირების საკითხები საქართველოში



ვასილ კიკუბაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და
ბიზნესის ფაკულტეტის ასისტენტ-
პროფესორი

ახალი მაცოდრისტი

მსოფლიოში ლიზინგის რეგულირების უნივერსალური წესი არ არსებობს, თითოეული ქვეყანა მას ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე არეგულირებს. ლიზინგის რეგულირების საკანონმდებლო ბაზის არსებობის თვალსაზრისით მსოფლიო ქვეყნები შეიძლება ორ ჯგუფად დაეყოთ, ქვეყნები, რომლებიც ემხრობიან ლიზინგმძღვანელებისათვის იურიდიული მესაკუთრის სტატუსის მინიჭებას ანუ რომანო-გერმანული სამართლის ქვეყნები(საფრანგეთი, გერმანია, იაპონია, რუსეთი და ა.შ.) და ქვეყნები, რომლებიც ემხრობიან ლიზინგმძღვანელებისათვის ეკონომიკური მესაკუთრის სტატუსის მინიჭებას ანუ ანგლოსაქსური სამართლის ქვეყნები(აშშ, ინგლისი და ა.შ.). ამრიგად, სხვადასხვა ქვეყანაში ლიზინგად სხვადასხვა ეკონომიკური ურთიერთობები მიიჩნევა, შესაბამისად განსხვავებულია ლიზინგის რეგულირების წესებიც.

საქართველო რომანო-გერმანული სამართლის ქვეყანაა, რომელიც სალიზინგო ურთიერთობებს არეგულირებს სპეციალური სალიზინგო კანონმდებლობის საფუძველზე, სალიზინგო ურთიერთობების რეგულირების ზოგიერთი ასპექტი გაბნეულია საქართველოს სხვა კანონებშიც.

საქართველოში 2002 წლის 7 მაისს მიღებული იქნა კანონი "სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ". კანონი შედგება 7 თავისაგან: ზოგადი დებულებები (I თავი), ლიზინგის ხელშეკრულებები (II თავი), ლიზინგის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები (III თავი), კონტროლი (IV თავი), ანგარიშსწორების წესი (V თავი), გაკოტრება (VI თავი), და დასკვნითი დებულება (VII თავი).

აღნიშნული კანონის პირველ თავში მოცემულია ორი მუხლი - ტერმინთა განმარტება და ლიზინგის სახეები. ამასთან, ახსნილია რომ საქართველოში დაშვებულია ლიზინგის შეღავათიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ლიზინგმძღვანელები არ იხდის სალიზინგო გადასახდელს. ამ პერიოდად კი მიჩნეულია მხოლოდ ლიზინგის საწყისი პერიოდი, რაც არასწორად მიმაჩნია. ვინაიდან, ლიზინგის საწყისი პერიოდი ისეთი პერიოდია, რომელიც ლიზინგმძღვანელებს სჭირდება საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად (ლიზინგით აღებული ქონების ბოლომდე გასაცნობად, ასათვისებლად და ა.შ.), რომლის დროსაც იგი ფაქტიურად ვერ ააშუშავებს მოცემულ მანქანა-მოწყობილობას და ვერც სარგებელს მიიღებს, მაგრამ



შესაძლებელია ამ მანქანა-მოწყობილობას სალიზინგო პერიოდის განმავლობაში მოუწიოს მორალური გაცვეთა, რომლის წინასწარმეტყველება არც ლიზინგამცემს და არც ლიზინგმიმღებს არ შეუძლია, ასეთ დროს ლიზინგმიმღები, ცხადია რომ ზარალს განიცდის. ჩვენი აზრით, კანონში უნდა გაკეთდეს ჩასწორება და შედეგითან პერიოდად მიჩნეული უნდა იქნეს არა მხოლოდ საწყისი პერიოდი, არამედ სხვა პერიოდიც, რომელზეც შთანხმდებიან ლიზინგამცემი და ლიზინგმიმღები. ეს შეიძლება იყოს როგორც საწყისი პერიოდი, ასევე შუალედური და საბოლოო პერიოდიც კი. გარდა ამისა ტერმინების განმარტებაში უნდა დაემატოს სალიზინგო ქონების ეკონომიკური მომსახურების ვადის განმარტება.

ლიზინგის სახეებში ჩამოთვლილია ლიზინგის მხოლოდ 4 სახე, ესენია პირდაპირი ლიზინგი, კომპენსაციური ლიზინგი, სერვისული და სუფთა ლიზინგი. ამ ჩამონათვალით გამოდის, რომ საქართველოში ლიზინგის სხვა სახეები კანონგარეშეთაა გამოცხადებული, რაც ბუნებრივია ხელს უშლის ლიზინგის განვითარებას. ისევე როგორც ყველა განვითარებულ ქვეყანაში, საქართველოშიც ლიზინგის ყველა სახე უნდა იყოს კანონით დაშვებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ლიზინგის სხვა სახეების გამოყენება არაკანონიერი იქნება, ამიტომ მივგანძნია, რომ კანონი ამ მიმართულებითაც საჭიროებს ჩასწორებას.

კანონის მეორე თავში „ლიზინგის ხელშეკრულება“ მოცემულია სამი მუხლი (მე-3, მე-4, მე-5), კერძოდ, ლიზინგის ხელშეკრულება, ქველიზინგის ხელშეკრულება და ლიზინგის ხელშეკრულების რეგისტრაცია. ამ თავის მე-3 მუხლში განმარტებულია თუ როდის ჩაითვლება ხელშეკრულება ლიზინგის ხელშეკრულებად. მასში ნათქვამია, რომ ხელშეკრულება ლიზინგის ხელშეკრულებად ჩაითვ-

ლება რამოდენიმე შემთხვევაში პირობიდან ერთ-ერთის დაცვის შემთხვევაში. ამ პირობებში შედის: 1. ლიზინგის ხელშეკრულების ვადის გასვლისას ლიზინგმიმღები ხდება ლიზინგის საგნის მესაკუთრე ისე, რომ არ იხდის დამატებით თანხას ან ეს თანხა უმნიშვნელოა; 2. ლიზინგის ხელშეკრულების ვადა არსებითად უთანაბრდება ან მეტია ლიზინგის საგნის ეკონომიკური მომსახურების ვადაზე და მიმღები ხდება ლიზინგის საგნის მესაკუთრე უმნიშვნელო თანხის გადახდით; 3. ლიზინგის ხელშეკრულების ვადა არსებითად უთანაბრდება ან მეტია ლიზინგის საგნის ეკონომიკური მომსახურების ვადაზე და მიმღებს არ აქვს უფლება შეწყვიტოს ლიზინგის ხელშეკრულება სულ ცოტა ლიზინგის სახლადურის გადახდის გარეშე და ა.შ. კანონის მიხედვით ამ პირობათაგან ერთ-ერთის აღნიშვნის გარდა ხელშეკრულებაში აღნიშნული უნდა იყოს აგრეთვე, რა შემთხვევაში ითვლება ლიზინგის საგანი მიღებულიად და ლიზინგის საგნის მიღების ვადა. გარდა ამისა, ლიზინგის ხელშეკრულებაში ცალკე უნდა იყოს აღნიშნული ხელშეკრულების საგნის (ობიექტი) მიწოდების და მიღების პირობები, სალიზინგო ქონების დეფექტებზე პასუხისმგებლობა, სალიზინგო ქონების გამოყენების წესი და პირობები, დაზღვევა, სალიზინგო გადასახდელები, ფორსმაჟორი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი (სალიზინგო გარეგნის მსვლელობისას და მის შემდეგ) ანგარიშსწორების წესი და კონტროლი.

კანონის მეოთხე მუხლია - „ქველიზინგის ხელშეკრულება“, ხოლო მეხუთე - „ლიზინგის ხელშეკრულების რეგისტრაცია“. ამ უკანასკნელის თანახმად „ლიზინგის ხელშეკრულება“ უნდა იქნას რეგისტრირებული სალიზინგო ქონების მფლობელის მიერ სალიზინგო ქონების მფლობელის სახელისა და მისი მისამართის განცხადებით.

¹ საქართველოს კანონი „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“, თბ., 2002წ., გვ.2.

ბიზნესის მართვა



ახალი ამონაბეჭდი


ინგის საგნის გამცემს შეუძლია ლიზინგის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, მაგრამ თუ ხელშეკრულება საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული, ეს გარემოება არ წარმოადგენს მისი ბათილად ცნობის საფუძველს. ისეა კითხვა: მაშინ რატომ აძლევს კანონი ლიზინგგამცემს ამის უფლებას? რა უპირატესობას ანიჭებს იგი მას და თუ არ ანიჭებს, მაშინ რა საჭიროა ასეთი ჩანაწერი კანონში? მავ: რუსეთის კანონი „ლიზინგის შესახებ“ ასეთ დებულებას არ შეიცავს. რუსეთში ლიზინგის ხელშეკრულება ითვლება სამართლებრივად, თუ მასში ქვეყნის კანონმდებლობის იმპერატიული ნორმები დაცულია და მხარეებს შორის შეთანხმება მიღწეულია².

საქართველოს კანონის „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ მე-3 თავი იწოდება, როგორც „ლიზინგის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები“. ამ თავის მე-7 მუხლში ლიზინგგამცემის საკუთრების უფლების დაცვაზეა საუბარი, მე-7 მუხლში ლიზინგის გამცემის უფლება-მოვალეობებზე, მე-8 მუხლში - ლიზინგის მიძღვების უფლება-მოვალეობებზე, ხოლო მე-9 მუხლში ლიზინგმიძღვების უფლებებზე ლიზინგის საგნის გამყიდველის მიმართ. ამ თავში განსაკუთრებით საყურადღებოა ლიზინგგამცემის და ლიზინგმიძღვების უფლება-მოვალეობები (მე-7 და მე-8 მუხლები). თავიდანვე ავღნიშნავთ, რომ ლიზინგის ხელშეკრულების მსოფლიოში მოქმედი ტიპური ფორმით ფინანსური ლიზინგის ხელშეკრულების მხარეებად გამოვლიან ლიზინგგამცემი და ლიზინგმიძღვებ³, ასეთ დროს კანონის ამ თავში განხილულია არა მხოლოდ ლიზინგგამცემის და ლიზინგმიძღვების მოვალეობები და პასუხისმგებლობები ერთმანეთის მიმართ, არამედ ლიზინგმიძღვების უფლებებიც ლიზინგის ობიექტის გამყიდველის მიმართაც, რომელიც არ წარმოადგენს ლიზინგის ხელშეკრულების მხარეს. (ლიზინგის ობიექტის გამყიდველთან ცალკე ხელშეკრულება იდება და იგი იწოდება არა ლიზინგის, არამედ ნასყიდობის ხელშეკრულებად). თუ კანონში ამის დატოვება სამართლიანია, მაშინ აქვე უნდა დაფიქსირდეს ლიზინგგამცემის უფლებებიც სალიზინგო ობიექტის გამყიდველის მიმართ და თვით გამყიდველის მოვალეობებიც, როგორც ლიზინგგამცემის ასევე ლიზინგმიძღვების მიმართაც. შესაბამისად კანონის ამ თავს უნდა ეწოდოს არა „ლიზინგის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები“, როგორც ახლა ეწოდება, არამედ „სალიზინგო ურთიერთობის მხარეთა უფლება-მოვალეობები“. მათ შორის განსხვავება იმაში, მდგომარეობს რომ სალიზინგო ხელშეკრულებაში გამყიდველი ცალკე მხარედ არ არის ჩართული, სალიზინგო ურთიერთობებში კი იგიც ჩართულია. საერთოდ მიგვანია, რომ ლიზინგის ხელშეკრულება უნდა იდებოდეს 3 მხარის - ლიზინგის ობიექტის გამყიდველის, ლიზინგგამცემის და ლიზინგმიძღვების მონაწილეობით და ყველა ის უფლება-მოვალეობები, რაც ფიქსირდება ცალ-ცალკე ლიზინგ ობიექტის ნასყიდობის და ლიზინგის ხელშეკრულებაში, უნდა დაფიქსირდეს ერთ ხელშეკრულებაში. ჩვენი აზრით, საჭიროა საქართველოს კანონი „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ ჩასწორდეს ისე, რომ მან კანონიერად ცნოს სალიზინგო ხელშეკრულებაში სამი მხარის მონაწილეობა.

კანონის მეოთხე თავი არის „კონტროლი“, ხოლო მეხუთე „ანგარიშსწორების წესი“. ორივე ეფუძნება მხარეებს შორის შეთანხმებას, რაც ჩვენც სამართლიანად

² Горемикин В. А. Лизинг, М., „Дашков и К., 2003 с. 144.

³ Лизинг, под ред. Н. М. Коршуновой, М., ЮНИТИ, 2001, с. 142.



მიგვანია, თუმცა რომელიმე ერთი მხარის შეცდომაში შესვლის თავიდან ასაცილებლად საჭიროა სალიზინგო ობიექტის ღირებულება განსაზღვროს დამოუკიდებელმა აუდიტორულმა ფირმამ.

მიგვანია, რომ კანონში აღნიშნული წინადადების გათვალისწინება არ იქნებოდა ურიგო, შემდგომში გართულებების თავიდან აცილების მიზნით. კანონის მეექვსე თავია „გაკოტრება“, ხოლო მეშვიდე „დასკვნითი დებულება“. ამ ნაწილში ვეთანხმებით იმ დებულებას, რომ ლიზინგ-მიმღების გაკოტრების შემთხვევაში ლიზინგის საგანი არ წარმოადგენს გაკოტრების მასის ნაწილს, მაგრამ მითითებული უნდა იყოს, რომ ლიზინგის საგანი არ ხდება გაკოტრების მასაში მხოლოდ სალიზინგო ხელშეკრულების პერიოდში, მისი გასვლის შემდეგ კი თუ ლიზინგ-მიმღებმა იგი შეისყიდა, მაშინ ლიზინგის ობიექტი ხდება მისი საკუთრება, ანუ მისი ქონების ნაწილი და შესაბამისად ხდება კიდევ გაკოტრების მასაში.

კანონის მეშვიდე თავი კი არის „დასკვნითი დებულებები“, რომელშიც მითითებულია, რომ კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე ფაქტია, რომ საქართველოს კანონი „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ საჭიროებს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც უნდა გახდეს მსჯელობის საგანი. ამით შესაძლებელი იქნება თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი საკანონმდებლო ხარვეზები და რითაც ხელს შეეწყობთ ლიზინგის განვითარებას საქართველოში. აღნიშნული კანონის მიღებიდან გავიდა ოთხი წელი და საქართველოში შეიძლება ითქვას, რომ მეტნაკლები წარმატებით მხოლოდ სამი სალიზინგო კომპანია ფუნქციონირებს და მათაც მსხვილი საფინანსო ინსტიტუტები (ბანკები) უმაგრებენ ზურგს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში პრაქტიკულად ფირმები უმეტესწილად იყენებენ

ოპერატიულ ლიზინგს და ისიც არა ოფიციალურად გაფორმებულს (რადგან გაფორმება დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული), არამედ არაოფიციალურს, ნლობზე დამყარებულს. მაგალითად, მცირე და საშუალო სიდიდის სამშენებლო ფირმები ერთმანეთისაგან ქირობენ ტექნიკას, ცხადია ქირის გადახდით. ხშირად კი, უცვლიან ერთმანეთს ტექნიკას და ქირის ურთიერთათვლას ახდენენ. ეს ხდება ნაცნობობისა და სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე. ასეთი შეთანხმების დიდობის მიხედვით შეიძლება ფირმები მაინც არჩევენ ასე მოიქცენ, ვიდრე ოფიციალურად, სამართლებრივად მოაწესრიგონ ეს ურთიერთობები. კანონში რომ ლიზინგ-მიმღებებისა და ლიზინგ-მომწოდებლის მასტიმულირებული მექანიზმები იყოს ჩადებული, მაშინ აღნიშნული ურთიერთობები სამართლებრივ ჩარხოვებში მოექცევა, რითაც როგორც ამ ურთიერთობების მონაწილეები, ასევე სახელმწიფოც მოგებული დარჩებოდა.

საქართველოს კანონს „სალიზინგო საქმიანობის ხელშეწყობის შესახებ“ საფუძვლად უდევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეოთხე თავი („ლიზინგი“), რომელშიც ოთხი მუხლი (№576, 577, 578 და 579) დათმობილი აქვს ლიზინგის შინაარსს, სალიზინგო ხელშეკრულების ფორმას, ლიზინგ-მომწოდებლის და ლიზინგ-მიმღების პასუხისმგებლობებს და ლიზინგის მიმართ გამოყენებულ სხვა წესებს. უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსის ოთხივე მუხლი ბუნდოვანია. მაგალითად 576-ე მუხლი - „ცნება, შინაარსი“. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ამ მუხლში ჯერ ლიზინგის ცნება უნდა იყოს განმარტებული და შემდეგ მისი შინაარსი. ამის მიუხედავად 576-ე მუხლის სამივე ქვეპუნქტში მხოლოდ ლიზინგ-მომწოდებლისა და ლიზინგ-მიმღების ვალდებულებებია აღწერილი. ამავე დროს მათ ვალდებულებებს 578-ე

საქართველოს კანონი

მეცნიერება

ახალი ეპოქისთვის

და 579-ე მუხლებიც აქვს დათმობილი. ასევე 577-ე მუხლი - „ლიზინგის ხელშეკრულების ფორმა“. ამ მუხლის მიხედვით ლიზინგის ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს მხოლოდ: მთლიან ფასს („ა“ - პუნქტი), სალიზინგო საზღაურის თანხას („ბ“ - პუნქტი) და საბოლოო გადახდის თანხას („გ“ - პუნქტი). მიგვაჩნია, რომ ასეთი შედგენილობით ლიზინგის ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრა არ არის სწორი, რადგანაც ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს მხარეთა პასუხისმგებლობებს, მათ შორის წარმოშობილ დავებს გადაწყვეტის მექანიზმებს, ლიზინგის ხანგრძლივობას, დაზღვევას, ხელშეკრულების შეწყვეტის წესს და ა.შ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 578-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „ლიზინგის გამცემი ქირაგრობის ხელშეკრულების წესების მიხედვით პასუხს აგებს ლიზინგის მიმღების წინაშე ნაკლის მქონე ქონების მიწოდებისათვის“. მართალია, ლიზინგგამცემი სალიზინგო ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარეა, მაგრამ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ნაკლის მქონე ქონების მიწოდებისათვის ლიზინგმიმღებმა წინაშე პასუხს აგებს არა ლიზინგგამცემი, არამედ ქონების გამყიდველი. ამ უკანასკნელს კი პრეტენზიას წარუდგენს ლიზინგმიმღები იმ მინდობილობის საფუძველზე, რომელსაც მასზე ლიზინგგამცემი გასცემს. ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც ეს საკითხიც ამ შინაარსით იყოს განმარტებული. ასევე ბუნდოვანია სამოქალაქო კოდექსის 579-ე მუხლის მე-2 პუნქტის შინაარსიც: „მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ლიზინგის მიმღებმა ლიზინგის გამცემისათვის პრეტენზიის წაყენებამდე უნდა მოითხოვოს დაკაყოფილება ქონების მიწოდებისაგან“. ცხადია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ამ მიმართულებით ნამ-

დვილად არის ჩასასწორებელი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ლიზინგის გავრცელებას სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბებას, ვიდრე დღეს გავრცელებას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ლიზინგი რამოდენიმეჯერ არის ნახსენები. საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლი - „ლიზინგი (ფინანსური იჯარა)“ ლიზინგს, როგორც სახელწოდებიდან ჩანს აიგივებს ფინანსურ იჯარასთან, რაც არ არის სწორი. ჩვენი აზრით ლიზინგის გაიგივება იჯარასთან ან თუნდაც არენდასთან გაუმართლებელია, ვინაიდან: 1) იჯარა - ეს არის მესაკუთრესა და ფუნქციონერს შორის გარიგება, როცა მესაკუთრე უფასო სარგებლობაში დროებით გადასცემს წარმოების საშუალებებს (შენობა-ნაგებობებს, მიწას და ა.შ.) ფუნქციონერს, იმიტომ რომ იგი (მოიჯარე) შეასრულებს იჯარის გამცემის შეკვეთას. შედეგები იჯარის გამცემის საკუთრებაში გადადის, ხოლო ამ სამუშაოს შესრულებისათვის იჯარის გამცემი მოიჯარეს უხდის გასამრჯელოს(საფასურს), ხოლო არენდა - ეს არის მესაკუთრესა ფუნქციონერს შორის სხვა ხასიათის (იჯარისაგან განსხვავებული) გარიგება. ამ შემთხვევაში მესაკუთრე ქონებრივი ქირით დროებით სარგებლობაში გადასცემს წარმოების საშუალებებს (შენობა-ნაგებობებს, მიწას და ა.შ.) ფუნქციონერს იმიტომ, რომ მან (მოარენდემ) ქირა გადაუხადოს არენდის გამცემს, შედეგები კი უკვე მოარენდეს საკუთრებაა და მისგან შემოსავალიც მას ეკუთვნის“ და 2) მართალია, ლიზინგის დროს, ისე როგორც არენდის დროს, ქონების გადაცემა დროებით ფასიან სარგებლობაში სალიზინგო გარიგების ძირითადი ოპერაციიაა, მაგრამ ლიზინგს აქვს მთელი რიგი თავისებურებანი რაც განასხვავებს

⁴ გ. პაპავა, საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები, გამომც. „ენა“, თბ; 1991 წ., გვ. 116.



მეცნიერება

მას არენდისაგან და მათ იდენტურობის საფუძველს აცლის. მაგალითად, სალიზინგო ურთიერთობები არ მოიცავს მხოლოდ საარენდო ურთიერთობებს და იგი, როგორც წესი, გულისხმობს ურთიერთობების მიუღკომპლექსს, რომელიც წარმოიშობა სალიზინგო ქონების ყიდვა-გაყიდვით, ბანკიდან კრედიტის აღებით, დაზღვევით და ა.შ. თითოეულ მათგანს საფუძველად უდევს მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებები. გარდა ამისა, განსხვავებით საარენდო ურთიერთობებისაგან ლიზინგურ გარიგებაში ლიზინგგამცემისა და ლიზინგმიმღების გარდა მონაწილეობს ლიზინგის ობიექტის (ქონების) მომწოდებელი (გამყიდველი), კერძოდ ის მომწოდებელი, რომელსაც აირჩევს ლიზინგმიმღები. ასე რომ, ქონების ლიზინგგამცემა არც მომწოდებლის არჩევაზეა პასუხისმგებელი და არც მის მიერ მოწოდებული ქონების ხარისხზე, კომპაქტურობაზე თუ მოცულობაზე. გარდა ამისა, არენდის დროს არენდის გამცემი (მეარენდე) არენდის ამღებს (მთარენდე) არენდით აძლევს იმ ქონებას, რომელიც მას ფაქტობრივად სახეზე გააჩნია, ლიზინგის დროს კი ლიზინგგამცემი ლიზინგმიმღების შეკვეთით ყიდულობს კონკრეტულ ქონებას და გარკვეულ საფასურად გადასცემს მას დროებით სარგებლობაში. საგადასახადო კოდექსის 21-ე მუხლი მოიცავს ექვს პუნქტს, რომელთაგან ერთ-ერთი გვამცნობს, რომ „ლიზინგის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ქონება ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში უნდა აისახოს იჯარის მიმღების ბალანსზე“⁵. ამრიგად, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ლიზინგის ობიექტი ლიზინგმიმღების ბალანსზე აღირიცხება მისი ლიზინგმიმღებზე გადაცემისთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ის ჯერ კიდევ არ არის მისი საკუთრება (და შეიძლება აგრც

გახდეს). შევნიშნავთ, რომ ეს ყველა ქვეყანაში ასე არ არის. ზოგიერთ ქვეყანაში ლიზინგის ობიექტი აღირიცხება ლიზინგგამცემის ბალანსზე, სანამ ლიზინგმიმღები მას არ გამოისყიდის. ჩვენი აზრით, ლიზინგმიმღებსა და ლიზინგგამცემს უნდა მიეცეთ არჩევანის თავისუფლება, თუ ვის ბალანსზე აღირიცხოს ლიზინგის საგანი. აღნიშნული ცვლილება განსაკუთრებით ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოების განვითარებას, ეინაიდან საგადასახადო კოდექსის 183-ე მუხლი - „სამორტიზაციო ანარიცხები და გამოქვითვები ძირითად საშუალებათა მიხედვით“ ნათქვამია, რომ „ლიზინგით მიღებული ძირითადი საშუალებები ექვემდებარება ამორტიზაციას, ამორტიზაციის თანხა კი ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვას. ლიზინგმიმღების ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება აგრეთვე მის მიერ გადახდილი სალიზინგო გადასახდელები“⁶. შესაბამისად ლიზინგის საგნის ასახვა სალიზინგო კომპანიის ბალანსზე, შესაძლებლობას მისცემს სალიზინგო კომპანიას ისარგებლოს ამორტიზაციის დარიცხვით და შეამციროს ლიზინგის ობიექტის (საგნის) ღირებულება, რაც კიდევ უფრო ხელმისაწვდომს გახდის ლიზინგს საწარმოების ფართო სექტრისათვის. ბუნდოვანია, ასევე საგადასახადო კოდექსით როდის უნდა მოხდეს სალიზინგო გარიგების დღე-ით დაბეგვრა. კერძოდ, ამავე კოდექსის 21-ე მუხლის პუნქტი 1-ის თანახმად ამორტიზაციას დაექვემდებარებული ძირითადი საშუალებების ლიზინგით გაცემის ოპერაცია ითვლება საქონლის მიწოდებად⁷, ხოლო საგადასახადო კოდექსის 238-ე მუხლის პუნქტი-1 გვაძნობს, რომ დღე-ით დაბეგვრის მიზნებისათვის ოპერაციის განხორციელების დროდ

საქონლის ამორტიზაცია

⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2005 წ., სპეციალური გამოშვება, გვ. 20.

⁶ საქართველოს საგადასახადო კოდექსი, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2005 წ., სპეციალური გამოშვება, გვ. 15.

⁷ იქვე, გვ. 136.

ასალი ეკონომისტი

ითვლება საქონლის(მომსახურების) მიწოდების მომენტი. ბუნებრივია ისმის კითხვა, ლიზინგის შემთხვევაში რა უნდა ჩათვალოს საქონლის (ლიზინგის საგნის) მიწოდების მომენტად? ლიზინგის კონტრაქტის ხელმოწერის მომენტი, ლიზინგის საგნის გადაცემის მომენტი, ყოველთვიური სალიზინგო სახალურის გადახდის თუ ლიზინგის საგნის საკუთრებაში გადაცემის მომენტი? საგადასახადო კოდექსის 20-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად საქონლის მიწოდებად ითვლება საკუთრების უფლების გადასვლა ერთი სუბიექტიდან მეორეზე, რაც ლიზინგის შემთხვევაში ხდება ლიზინგის ხელშეკრულების ვადის ბოლოს ანუ როდესაც მილიანად მოხდება ლიზინგმიმღებში მიერ სალიზინგო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯების ანაზღაურება. თუმცა რეალურად, ლიზინგმიმღები თუ კი მას სურს, ლიზინგის საგანზე საკუთრების უფლებას იძენს ყოველთვიური (ან სხვა პერიოდულობით) სალიზინგო გადასახდელების გადახდით. გამოდინარე აქედან მიგვაჩნია, რომ ლიზინგის დღე-ით დაბეგვრა უნდა მოხდეს სალიზინგო გადასახდელების გადახდის პროპორციულად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია რომ საქართველოში მოქმედი ლიზინგის რეგულირების საკანონმდებლო ბაზა საჭიროებს მნიშვნელოვან კორექტივებს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოში დღემდე არ არის რატიფიცირებული სამართლის უნიფიკაციის საერთაშორისო ინსტიტუტის (UNIDROIT) მიერ 1995 წლის 1 მაისიდან ამოქმედებული კონვენცია „საერთაშორისო ლიზინგის შესახებ“ შესახებ. ბუნებრივია, ეს ასახვას პირობებს საქართველოში ლიზინგის მარეგულირებელი კანონმდებლობის არასრულყოფილებაში. მიგვაჩნია, რომ ჩვენნაირი მწირი გამოცდილების მქონე ქვეყანამ დროულად უნდა განახორციელოს აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში როგორც ლიზინგის განვითარებას, ასევე ქვეყნის ინტეგრაციას ერთიან ევროპულ სივრცეში.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „სალიზინგო საკმინარობის ხელშეწყობის შესახებ“, თბილისი, 2002 წ;
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი, ჟურნ. „ბიზნესი და კანონმდებლობა“, 2005 წ., სპეციალური გამოშვება;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
4. გ. პაპავა, საბაზრო ეკონომიკაზე საქართველოს გადასვლის საფუძვლები, გამომც. „ენა“, თბ; 1991 წ., გვ. 116.
5. Горемикин В. А. Лизинг, М., „Дашков и К., 2003 с. 144;
6. Лизинг, под ред. Н. М. Коршуновой, М., ЮНИТИ, 2001, с. 142.

ბამოიწერეთ

საგანი

ეკონომისტი

აქ წაითხავთ შემდეგ სიახლეებს:

- ეკონომიკა და ბიზნესი;
- აღრიცხვა და გადასახადები;
- ბანკები და ფინანსები.

ხელმოწერის ღირებულებაა:

- 3 თვე - 24 ლარი
- 6 თვე - 48 ლარი
- 9 თვე - 72 ლარი
- 12 თვე - 96 ლარი

ჩვენი რეკვიზიტებია:

თბილისი, ჯორჯაძის ქ. № 5.
ტელ.: 822 99-05-76; 855 277 554
ელ. ფოსტა: karchava-l@nyoffice.ge
ვებ-გვერდი: www.economist.ge

მეცნიერება

მოგუზაგეთა შუფასაგბის საკითხისათვის



ნუგზარ ზარეაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის
ასისტენტ-პროფესორი

ადამიანთა შეფასება სოციალური საკმინობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია. შეფასებებს ვხედებით თითქმის ყოველ ნაბიჯზე (ცხოვრებაში, შრომითი და არაშრომითი საკმინობისას). ადამიანთა და შრომითი კოლექტივების შეფასება არა მარტო შრომითი და მორალურ-პოლიტიკური ხასიათის ქმედებაა, არამედ ამ ქმედების ქვეშ ივულისხმება აგრეთვე საკონტროლო ორგანოების ანგარიშგებანი; საბუღალტრო და სხვა სახის ბალანსები, სამეურნეო თუ სხვა სახის გეგმებისა და პროექტების დასაბუთება. შეფასება წარმოადგენს ნებისმიერი შეტყობინების, ცალკეულ პიროვნებათა და საზოგადოების ინფორმირების მთავარ მომენტს. მაგალითად, პრესის, რადიოს, ტელევიზიის საკმინობა და ა.შ. შეფასება მიმდინარეობს ოჯახურ ურთიერთობებშიც, მეგობრებს შორის, შემთხვევით წარმოქმნილ ადამიანთა ჯგუფებს შორისაც. შეფასება - ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღების, პრობლემის ყოველი იდეური გადაჭრის, მოკლედ, რომ ვთქვათ, ნებისმიერი აზროვნების ბუნებრივი შემადგენელი ნაწილია.

განსაკუთრებით ხელმძღვანელი სამუშაო უშუალოდაა დაფუძნებული მოვლენათა შეფასებაზე, რომლებიც დიდ გავ-

ლენას ახდენენ მართვის ქმედობაზე, რამდენადაც მომუშავე ითვლება საწარმოო ძალების, მაშასადამე, საზოგადოებრივი მართვის შემადგენელ ნაწილად. მომუშავეთა და შრომითი კოლექტივების შეფასება უფრო აქტუალობას იძენს არა მარტო მართვის პრაქტიკაში, არამედ ორგანიზაციისა და მართვის თეორიაშიც.

შეფასება - რომელიმე ობიექტისათვის ღირებულების მინიჭებაა. მაშასადამე, იგი არის ადამიანის ინტელექტუალური საკმინობა, რომელსაც გააჩნია თავისი ობიექტი და რომლისკენაც მიმართულია იგი. განხილვის ობიექტი შეიძლება იყოს: ნებისმიერი ფაქტი, საგანი, ადამიანი, მათი თვისებები, მოქმედებები, დამოკიდებულებები, ტენდენციები და ა.შ.

შეფასების განსაზღვრის საკვანძო კატეგორიას წარმოადგენს ფასეულობის კატეგორია, რომელსაც დიდი რაოდენობის მნიშვნელობები გააჩნია.

მართვის პრაქტიკაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეფასების ფსიქოლოგიურ მნიშვნელობას. განსაკუთრებით იმიტომ, რომ ფასეულობებში ივულისხმება ყოველი ფაქტი, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ცხოვრებისეული, ინდივიდუალური ადამიანური და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

საზოგადოებრივი

მეცნიერება

ბ

ფასეულობათა გაგება იმ ფორმით, როგორც იგი მიღებულია მართვის პრაქტიკაში, იმყოფება მათემატიკაში გამოყენებული მნიშვნელობის გაგენის ქვეშ, სადაც ფასეულობაში იგულისხმება ციფრი, რომელიც განასახიერებს ზომებს, გარკვეული სიდიდეების აქტუალურ მდგომარეობას. შეფასება ერთიანდება სიდიდეებთან, შეფასების ობიექტებთან, რომელთაც შეუძლიათ მიიღონ სხვადასხვა განზომილებები. ამიტომ მართვაში შეფასება ყოველთვის წარმოადგენს უფრო მკაცრი, თავისუფალი აზრის მეშვეობით გამოხატულ განზომილებას, ანუ შეფასების ობიექტის შედარებას რომელიმე სხვა ფაქტთან.

შეფასება გულისხმობს აგრეთვე ღირებულებათა გარკვეულ სისტემას, ანუ კრიტერიუმებისა და მასშტაბების ჯამს, რომლებსაც უნდა შეუდარდეს შესაფასებელი ობიექტი.

მართვაში განსაკუთრებული მდგომარეობა ადამიანს უკავია, რადგან მართვის პროცესი მათი მეშვეობით ხორციელდება. მართვის პროცესი მიმართულია ადამიანთა ორგანიზებისკენ და რეალიზდება შეფასებებშიც. ადამიანთა შეფასება განსხვავდება ფაქტების შეფასებისგან სახელწოდებითაც კი. გამოთქმა „შეფასება“ პრაქტიკაში უფრო ხშირად დაკავშირებულია ადამიანთა შეფასებასთან და ადამიანურ ურთიერთობასთან.

პრაქტიკულად, შრომის შეფასების სისტემა განიხილება თითქმის ადამიანთა შეფასებისაგან დამოუკიდებლად.

მართვის პროცესში შეფასების ცნება შეიძლება განვიხილოთ: 1. შეფასება, როგორც საკადრო-პერსონალური ფუნქცია; 2. შეფასება, როგორც ადამიანებისადმი ხელმძღვანელობა; 3. შეფასება, როგორც მართვის პროცესის ფაზა; 4. შეფასება, როგორც გადაწყვეტილების მიღების შემადგენელი ნაწილი.

შეფასება, როგორც საკადრო-პერსონალური მუშაობის სისტემის ცალკე ფუნქცია, ხორციელდება საკადრო-

პერსონალური ქვედანაყოფების პოზიციებიდან. შეფასების საკითხთან ერთად ეს სტრუქტურები ახორციელებენ: მომუშავეთა მოზიდვას, შერჩევასა და განაწილებას, სწავლებასა და განათლებას, რეზერვთან მუშაობას და ა.შ. შეფასება, როგორც საკადრო-პერსონალური მუშაობის ცალკე ფუნქცია განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება სისტემატური, კომპლექსური, მორალურ-პოლიტიკური შრომითი შეფასებების ფორმით, ასეთი შეფასება მზადდება, უზრუნველყოფილია მისი რეალიზაცია, კონტროლი და ხაერით შედეგების განხილვის პროცესი.


კომპლექსური მორალურ-პოლიტიკური და შრომითი შეფასება ორგანიზაციის საკადრო-პერსონალური მუშაობის არა მარტო ფუნქციაა, არამედ ყველაზე ნათლად წარმოაჩენს მომუშავეთა ნებისმიერი შეფასების უაერთო პრობლემებსაც.

საკადრო-პერსონალური მუშაობის შემადგენელი ნაწილია მუშათა ფუნქციების შეფასება, რომელსაც წმინდა პროფესიული თვალსაზრისით აწარმოებენ შრომის ეკონომიკის საკითხებით დაკავებული ორგანიზაციის ქვედანაყოფები იმ პერსონალის მიმართ, რომლებმაც უნდა დაიკავონ და შეუძლიათ დაიკავონ ესა თუ ის თანამდებობა. სატარიფო და საკვალიფიკაციო კატალოგების დამუშავებაც ასეთი ტიპის შეფასების მაგალითად შეიძლება განვიხილოთ.

ზოგერთი პროფესიების მუშათა შეფასებას ახდენენ საკადრო-პერსონალურ სტრუქტურებში მომუშავე ფსიქოლოგები. საქმე ეხება იმ პროფესიებს, რომლებსაც მოეთხოვება მაღალი პასუხისმგებლობა. მაგალითად, მფრინავები, ლოკომოტივთა მემანქანეები და სხვა.

შეფასება, როგორც ადამიანთა ხელმძღვანელობის პრობლემატის შემაჯგენელი ნაწილი განსხვავდება საკადრო-პერსონალური შეფასების ფუნქციის ცნებისაგან არა მარტო თავისი

სხალი ეკონომიკის



მეცნიერება

სუბიექტით, არამედ თავისი ხასიათითაც, ის უფრო ნაკლებად ფორმალურია, მეტოდურად ნაკლებად სერიოზულია და მზადდება და იმართება. მისი ფორმები სხვადასხვანაირია და ღრმად და დაკავშირებული ოპერატიული მართვასთან და სორციელდება ძირითადად მართვის საშუალო და ქვედა დონეების ხელმძღვანელების მიერ, კერძოდ:

- შრომითი დავალებების შესრულების შეფასება მმართველობითი საქმიანობის ჩვეულებრივი სახეობაა, რომელიც განსაზღვრავს მომუშავეისათვის მატერიალური ანაზღაურებისა და წახალისების ოდენობას. ასეთ შეფასებასთანაა დაკავშირებული მომუშავეის მიერ განხორციელებული ცალკეული ოპერაციის შესრულების ხარისხის შეფასებაც.

კოლექტიური შრომის და ცალკეულ ადამიანთა დამსახურების შეფასება ორგანიზაციის საწარმოო და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფთა რეკულარული თა-თბორების (შეკრებების) შემადგენელი ნაწილია და მათი განსჯის თემაა;

- მომუშავეთა უნარის შეფასება ხორციელდება პრაქტიკულად თითქმის ყველა სახის სამუშაოზე. ასეთ შემთხვევაში საწარმოო ოსტატი აკვირდება, თუ რომელი მუშა როგორი სიხუსტითა და ხარისხით ასრულებს მოვალეობას და შეესაბამება იგი თუ არა მოცემულ სამუშაოს. ამ ტიპის შეფასების მნიშვნელობა ძალზე დიდია და რთულიცაა და დამოკიდებულია იმაზე, თუ შემფასებელი რამდენად შეუცდომლად, ობიექტურად აფასებს მუშის კეთილსინდისიერებას, შესრულებული სამუშაოს ხარისხს და სხვ. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა განესაჯოს შრომისადმი დამოკიდებულების, შრომითი მორალის, მომუშავეთა კვალიფიციურობის შესაძლებლობების შესახებ და მივიღოთ შესაბამისი მმართველობითი გადაწყვეტილებები.

მომუშავეთა შეფასება ხელმძღვანელის ფუნქციის თვალსაზრისით ხშირ-

ად არასწორად აღიქმება. თითქმის ყურადღება გადატანილია ფორმალურ შეფასებაზე ანუ საკადრო-პერსონალური სტრუქტურების მიერ მომზადებულ შეფასებებზე, რაც, ჩვენი აზრით, საკითხისადმი ფორმალური და არასწორი მიდგომაა.

მართვის პროცესის ფაზის თვალსაზრისით შეფასება განსხვავდება განხილვისაგან მართვის პროცესში გადასატარელი პრობლემის ხასიათით. თუ საქმე ეხება ადამიანურ მხარეს, მაშინ იგი შეფასებაა, ხოლო, თუ ნივთობრივ მხარეს - განხილვა. პრაქტიკაში მართვის პროცესის დასკვნითი სუბფაზების ორივე ტიპს შეფასებას უწოდებენ. საქმე ეხება ისეთი საკითხების შეფასებასა და განხილვას, როგორებიცაა:

- მართვის განხორციელებული პროცესის საერთო შედეგები. კერძოდ, პასუხობს თუ არა იგი მიზნებს, ჩანაფიქრებს, ბრძანებებს, გეგმას, ამოცანას და ა.შ.

- მართვის პროცესის რეალიზაციის მსვლელობა (როგორი შეცდომები იქნა დაშვებული გადაწყვეტილების მიღებისას და რატომ);

- მართვის რეალიზებული პროცესის ხვედრითი წილი გლობალური ამოცანების შესრულებასა და ორგანიზაციის გრძელვადიანი ამოცანების მიღწევაში;

- ცალკეულ რეალიზატორთა ხვედრითი წილი მიღწეულ შედეგებში.

შეფასება საბოლოო ჯამში წარმოადგენს გადაწყვეტილების მიღების შემადგენელ ნაწილს, სახელდობრ, ყოველი იდეური ოპერაციისა, რომელიც მიყვანს სუბიექტს გადაწყვეტილების მიღებამდე მიუხედავად იმისა, იგი ადამიანია თუ მართვის ორგანო.

გადაწყვეტილების მიღება მართვის ყოველი პროცესის პირველი ფაზაა. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოიძებნოს მართვის დასმული პრობლემის სწორი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილების მიღებისას ხდება შეფასება, მაგალითად:

ახალი ამონომოსი

სახალი მკონომისტი

- გადაწყვეტილების მიღების წინამძღვრებისა გადასატრელი პრობლემასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით;
 - პრობლემის გადაჭრის შემუშავებულ ალტერნატივათა ხელსაყრელობის;
 - გადაწყვეტილების მიღებისას ინფორმაციის საიმედოობის;
 - შემოთავაზებულ გადაწყვეტილებათა თანმხლები შესაძლო უარყოფითი შედეგების;
 - გადაწყვეტილების შეცდომით რეალიზაციის პირობებში სათანადო ღონისძიებების გატარების და ა.შ.
- როგორც ვხედავთ, შეფასება ასეთი გაგებით ძალზე ახლოა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესთან. საკუთრივ, აზროვნების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შეფასების სინონიმად შეიძლება მივიჩნიოთ.
- შედარებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მართვის საშუალო ღონის ხელმძღვანელ-

თა მმართველობითი აქტიურობის რამოდენიმე მაგალითი, რომელიც მიეკუთვნება ნიუ-ტორბიეი მხარის განხილვას:

- საწყობიდან მიღებული მასალების ხარისხის შემოწმება;
- ოპერატიული გეგმების სირთულისა და სტრუქტურის განხილვა;
- საწარმოო სიმძლავრეების, სამუშაო ძალის, ტექნოლოგიურ მოწყობილობათა და საწარმოო სივრცის განხილვა;
- ტექნოლოგიურ მოწყობილობათა ცვეთის ხარისხის განხილვა და ა.შ.

შეფასებებისა და განხილვის ზემოთ ჩამოთვლილ სახეებში ბევრი სპეციფიკურობაა, რაც ხელს გვიშლის ვიმსჯელოთ ყველა მათგანზე ერთად. სამაგიეროდ ბევრია საერთო და ერთნაირი. ეს კი მათ აქცევს ერთიან თეორიულ, პრაქტიკულ და კელევიტ პრობლემებად, რაც კელევის შემდგომი ეტაპის საკითხია.

SUMMARY

For the Issue of Workers' Appraisalment

NUGZARZEREKIDZE

Associated Professor of the TSU Faculty of Economics and Business

The appraisalment of workers is one of the most important questions of the social activity. The appraisalment is the natural component part of decision making, each ideological settlement of problem by human, in short, of any thinking.

In the practice of management the particular attention is paid to the psychological importance of appraisalment, as it means certain system of values, i.e. sum of criteria and scales, to which the appraisalment object should be compared.

The special position in the management holds human, as the process of management is implemented by them. The management process is directed to orderliness of humans and is also realized in appraisalments.

Reasoning from the mentioned, the main attention in the system is drawn to several key question of appraisalment, namely: 1. Appraisalment as personnel-personal function; 2. Appraisalment as governing of human; 3. Appraisalment as the phase of managing process; 4. Appraisalment as the component art of decision making.

In the above-listed types of appraisalment there are many peculiarities, which prevent us from considering them all together. But on the other hand there is much in common that makes them one unified practical and research problem. And the settlement of this problem is the following topic of the research.

მეცნიერება

სვანეთი დიდი ტურიზმის მოლოდინში



ბიორბი მგვლიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიკოს-კულტუროლოგი, ისტორიის მეცნ. დოქტორი

სვანები ძირძველი ქართველური ტომებია, რომელთაც ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ ცნობილი ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი მოიხსენიებს „სოან“-ის სახელწოდებით. მისი ცნობით „სოანები“ მთელს კავკასიაში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და ტერიტორიაზე ფართოდ განსახლებული ხალხია.

სვანეთი ანტიკური ხანიდანაც ცნობილი სხვადასხვა ლითონების მოპოვების კუთხედ. ძველი ბერძენი ავტორები სვანეთს უკავშირებენ მითს ოქროს საწმისის შესახებ. სვანთა წინაპრების მიერ მთის ამ რეკონის ათვისება იქ ლითონის მოპოვებას უნდა მოჰყოლოდა.

ძველად სვანეთი ჯერ კოლხეთის სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა, ხოლო შემდეგ ეგრისის სამეფოს (ლაზიკის) შემადგენლობაში შედიოდა. ფარნავაზის დროს (ძვ.წ. III ს. პირველი ნახ.) ის ქართლის სამეფოს ერთი საერისთავოთაგანია.

სვანეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ალექსანდრე მაკედონელის 340-მდე ოქროს სტატერი, აგრეთვე ლინიმაქეს ოქროს სტატერებიც. უცხოური მონეტები მრავლადა მიკვლეული დასავედეთ საქართველოს სხვა რაიონებშიც, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ელინისტურ სამყაროსთან

კოლხეთს გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა.

VI ს-ში ბიზანტია და ირანი ერთმანეთს ექიშებოდნენ სვანეთის გამო, რაც მისი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით აიხსნება. სვანეთი იცავდა ლაზიკის სამეფოს ჩრდილო კავკასიის ტომების თავდასხმებისაგან.

XI ს-დან საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, სვანეთი მისი ერთ-ერთი საერისთავოა. X ს-ში სვანთა ერისთავი ვარდანი ნიანია ქვაბულისძესთან და კლდეკარის ერისთავი ივანე ლიპარიტის ძესთან ერთად ილაშქრებენ გიორგი II-ის წინააღმდეგ, რათა ხელში ჩაიგდონ ძალაუფლება დასავედეთ საქართველოში, მაგრამ დამარცხდნენ.

იმას, რომ სვანი ერისთავები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ადასტურებს XII ს-ის მაცხვარიშის ეკლესიის მოხატულობაში წარმოდგენილი დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენა, სადაც სვანთა ერისთავი ვარდანისძე მონაწილეობს მეფისათვის ხმლის შემორტყმის ცერემონიაში.

თუ განვითარებული შუა საუკუნეების ხანაში სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი

სახალი
პრობლემა

ე

საერისთაო იყო, ერთიანი საქართველოს სამთავროებად დაშლის შემდეგ, XV ს-ში, იგი რამდენიმე ნაწილად დაიყო - ზემო - ბალზემო, „თავისუფალ“ ანუ „უბატონო,“ ბალქემო - „სათავადო“, ანუ „სადადეშქელიანო“ სვანეთად - და ქვემო, ანუ „სადადიანო“ სვანეთად.

მართალია, სვანეთს არ განუცდია გარეშე მტრების შემოსევები, მაგრამ შექმნილმა ისტორიულმა ვითარებამ იგი თავის საზღვრებს შორის მოაქცია, შესუსტდა კავშირი მეზობელ რაიონებთან, ჩაიკეტა. ამ გარემოებამ გააღვინა იქონია სვანეთის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, რადგან მოიშალა ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთობანი.

XVIII ს-ის პირველ ნახევარში სვანეთის შესახებ მეტად მცირე ცნობებია მოწოდებული. ვიციით მხოლოდ, რომ სვანეთი კვლავ კარნაკეტილ ცხოვრებას ეწევა და არაერთი მონაწილეობას არ ღებულობს იმდროინდელ გაუთავებელ შინაომებში. კიდევ უფრო მეტად გაართულა ცხოვრების პირობები, საქართველოს ცენტრალური რაიონების ყოველდღიურ ცხოვრებას მოწყობა და დაქვეითა კულტურული დონე; თუ მეორე მხრივ, სვანებს და საერთოდ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობას ადგილობრივი სიმცირის გამო ისედაც ბარში უხდებოდათ სამუშაოს ძებნა, ახლა ქართლსა და კახეთშიაც კი ჩადიოდნენ სამუშაოს საძებნელად.

XVIII ს-ში ქვემო სვანეთი - ლენტეხის, ჩოლურისა და ლაშხეთის თემები სამეგრელოს მთავარს ემორჩილებოდა, მაგრამ როგორც ამ დროის ისტორიული საბუთებით დასტურდება, დადიანის ხელისუფლების ძალა ლენტეხიდანაც ვრცელდებოდა. დანარჩენი ნაწილი კი იმერეთის ხელქვეითად ითვლებოდა თავიდანვე. თუმცა, ამ დროს იმერეთის მეფეც სადადეშქელიანო და თავისუფალ სვანეთზეც აერცვლებდა თავის ხელისუ-

ფლებას. ყოველი ასეთი დაყოფა ეკლესიური დავყოფითაც იყო განმტკიცებული. XVIII ს-ში სადადიანო და თავისუფალი სვანეთი ცაგერის ეპარქიაში შედიოდა, ხოლო სადადეშქელიანო სვანეთი ცაიშელი ეპისკოპოსის სამწყსო იყო.

1930 წლიდან სვანეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ზემო სვანეთისა და ჩოლურის რაიონები. მალევე ჩოლურის რაიონი ქვემო სვანეთის რაიონად გარდაიქმნა, ხოლო 1953 წელს ზემო სვანეთის რაიონს მესტიის რაიონი ეწოდა, ხოლო ქვემო სვანეთისას - ლენტეხის რაიონი.

სვანეთის მთავარი სიმდიდრე - ტყე - ღურგლობის განვითარების კარგ საშუალებას იძლეოდა. სვანები ადგილზევე ამზადებდნენ: უღელს, მარხილს, ხისგუთანს, კავს, კვერს და ყველანივთს რაც ადგილობრივ მეურნეობას ესაჭიროებოდა. ხელოსნების ხელით ითლებოდა კეებასთან დაკავშირებული საოცარად ლამაზი ჯამბურჭელი, ასევე არყის გამოსახდელი მოწყობილობა: „რაყ“ (მრგვალი ხის დიდი გომი) „გარ“ - წყლის სათავსო გამოხდის პროცესში, სხვადასხვა სახის პატარა გომები, რომელთაც „გაბარს“ უწოდებდნენ.

სვანეთის სიმბოლოა კოშკები. დიდი რაოდენობითაა შემორჩენილი სვანური კოშკები მასზე მიდგმული საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების სხვა ნაგებობებითა და ციხე-დარბაზებით. მათ შორის, გამოირჩევა დადიანის ციხე-დარბაზის კომპლექსი ლენტეხში, ლეჩსურის შუა საუკუნეების კოშკები და სხვ. მრავალი. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ბალსხემო სვანეთზე მოდის. უფრო იშვიათია საბატონო და სადადიანო სვანეთში. მათი რიცხვი 200-ს აღემატება. თუ როდის

ახალი მემორიისტი

მეცნიერება

დაიწყო მათი მშენებლობა, ეს ჯერ-ჯერობით დაუდგენელია. ის კოშკები, რომელთაც სათოფური ჭუჭრუტანები („სამცხვირ“) აკეთ, ძირითადად უნდა აშენებულიყვნენ XV საუკუნიდან, რადგან ჩვენში თოფი ფაქტიურად XV საუკუნის ბოლოდან შემოდის ხმარებაში. ადგილობრივ მკვიდრთა ვარაუდითაც სვანური კოშკები 400-500 წლისა მაინც უნდა იყოს.

სვანეთი მდიდარია ძველი კულტურის ძეგლებით. სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ სვანეთში შემორჩენილია ჭედური ხელოვნების 1000-ზე მეტი ძეგლი, 200-ზე მეტი კოშკი და 100-მდე ეკლესია. განსაკუთრებულ სიმრავლეს ჯვარ-ხატებისა და ხელნაწერებისა, რომელნიც სვანეთში იყო და დღესაც არის ბევრს აფიქრებინებდა და ცდილობდნენ აეხსნათ იმით, რომ სვანეთში ეზიდებოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ამ ნივთებს შესანახად და გადასარჩენად, რათა ეხსნათ მტერთა შემოსევების დროს განადგურებისაგან. ეჭვი არ არის რომ ამასაც ექნებოდა ადგილი განსაკუთრებით ჩვენი ერის ისტორიის უმძიმეს პერიოდებში, მაგრამ როგორც ჩატარებულმა მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ აჩვენა, ცხრა მეთედი ჯვარ-ხატებისათვის სვანეთშია დამზადებული. ამას მოწმობს სვანიზმები წარწერებისა, გვარები შემკვეთელებისა და ოქრომჭედელთა.

საქართველოში ყველაზე უფრო მკვეთრად გამოსახულმა ეთნიკურმა რეგიონმა განსაკუთრებით დიდი რაოდენობით შემოგვინახა მის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან შესამეზღველი მდიდარი მატერიალური და სულიერი კულტურა – არქიტექტურის, ფერწერის, ოქრომჭედლობის, ქანდაკების, ძველი მეტალურგიის, ხელნაწერ-

ბის, მინიატურის, ქსოვა-ნაქარგობის, მუსიკისა და პოეზიის სრულფასოვანი ძეგლები. მათ პირველწყაროს მნიშვნელობა აქვთ საქართველოს ძველი ისტორიისა და კულტურის გასაშუქებლად. ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილი უნიკალურია და მეცნიერები მსოფლიო-მნიშვნელობას ანიჭებენ. ამიტომ, ბუნებრივია, ის დიდი ინტერესი, რასაც სვანეთის მიმართ იჩენდნენ ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან მოყოლებული.

სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მატერიალური კულტურის ძეგლებიდან დაცულია ქართული ხელოვნების მრავალი ღირსშესანიშნავი ნიმუში. დღემდე მოაღწია ათასზე მეტმა ჭედურმა ჯვარ-ხატმა, კედლის მხატვრობამ, ეპიგრაფიულმა ძეგლებმა, ფრესკებმა. შემორჩენილია საღვთო წიგნები – მათ შორის IX საუკუნის ხელნაწერი „ადიშის სახარება – ოთხთავი“, სახარების X-XIII სს. ხელნაწერი და სხვ.

ამჟამად სვანეთის ნივთიერი კულტურის ძეგლების უმთავრესი ნაწილი მესტიის მუზეუმსა და ეკლესიაშია დაცული, ხოლო უფრო მცირე – მოსახლეობაშია გაბნეული.

მესტია (ყოფილი სეტი, დაბად 1968 წელს გამოცხადდა) ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრია (3,0 ათასი მცხოვრები); მდებარეობს მესტიის ქვაბულში, მდინარეების-მესტიაჭაღისა და მულხურის გაშლილ ნაპირებზე, ზ.დ. 1500 მ სიმაღლეზე. დაბა ქართული ხუროთმოძღვრებისა და ეთნოგრაფიის ერთერთი შესანიშნავი ძეგლია, სადაც კარგად არის შემონახული სვანური სახლ-სიმაგრეები და შუა საუკუნეების საკულტო ნაგებობანი, მათ შორის აღსანიშნავია მაცხოვრის ქვით ნაგები ორსართულიანი დვთისმშობლის

ახალი კოლონია

(„ლაპარია“) სეტის მოავარანგელოზთა და ფუსტის ეკლესიები. მესტიის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული მდიდარი მასალიდან უნდა აღინიშნოს სვიმონ მესვეტის ხატი (XI ს.), ძველი ქართული ენისა და მწერლობის უძველესი ძეგლი-ადიშის ოთხთავი (879 წ.), ქართული ჭედური ხელოვნების მრავალი ღირსშესანიშნავი ნიმუში და სხვ.

მესტია სვანეთის ტურიზმის ცენტრია, რომელსაც განვითარების კარგი შესაძლებლობანი გააჩნია.

ლენტეხი (დაბად 1969წ. გამოცხადდა) რაიონის ადმინისტრაციულ-კულტურული და სამეურნეო ცენტრი (2,4 ათასი მცხოვრებით მდებარეობს სვანეთის ქედის სამხრეთი კალთის ძირში, მდ. ცხენისწყლის ნაპირზე (ზ.დ. 760 მ) და უახლოესი რკინიგზის სადგურიდან (ქუთაისი) დაშორებულია 102 კმ-ით. დაბის საყურადღებო ღირსშესანიშნაობებია დადიანების ციხე-დარბაზის კომპლექსი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ტურისტული ბაზა.

ტრანსპორტი. საქართველოს ბართან სვანეთი ორი საავტომობილო გზით არის დაკავშირებული. პირველი-მესტია-ზუგდიდის (136 კმ) მდ.ენგურს მიუყვება, მეორე კი-ლენტეხი-ქუთაისის (102 კმ)-მდ. ცხენისწყალს. ზემო და ქვემო სვანეთს კი ერთმანეთთან მუდმივი სატრანსპორტო მიმოსვლა არა აქვთ. მათი დამაკავშირებელი საავტომობილო გზა მხოლოდ ზაფხულში მოქმედებს. ადგილობრივი საავტომობილო გზების საერთო სიგრძე დაახლოებით 315 კმ-ს შეადგენს. დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს რეგიონისთვის სათიბ-საძოვრებამდე მისასვლელ გზებს, რომელთა უმრავლესობა კეთილმოუწყობელია.

ორივე რაიონს აქვს საპაერო კავშირი თბილისთან და ქუთაისთან, მაგრამ

რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო იგი არარეგულარულია.

ბუნების ძეგლები. სვანეთის მაცვარი კლიმატური პირობების ერთგვარ კომპენსაციას ჰიდრორესურსების სიუხვე წარმოადგენს. რეგიონის წყალუხვ მდინარეებს, ენგურსა და ცხენისწყალს და მათ მრავალრიცხოვან შენაკადებს უდიდესი ენერგეტიკული პოტენციალი გააჩნიათ. ეგზოტიკურობის მნიშვნელოვან ტურისტულ-რეკრეაციულ ეფექტს ქმნის ტყის ზონაში არსებული ჩანჩქერები. სვანეთში 200-მდე მყინვარია წარმოდგენილია.

სვანეთის ბუნების ძეგლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია მყინვარის მიერ გადაადგილებული ვევერთოქლა ლოდები. ძველი მყინვარის მიერ სვანეთის ქედის უმაღლესი წერტილიდან ჩამოტანილია ლაპიჯალის (მესტიის რ-ნი) ლოდი. ეს 10 მეტრიანი ლოდი ტყიან ზოლში მდებარეობს. ზემო სვანეთის რეგიონშია აგრეთვე *ფერხულის ქვა* (20X20X18), რომელიც ხალღებს მყინვარის მიერაა ჩამოტანილი “მცირე გამყინვარების ეპოქაში”. ლოდი დახრილად დევს ალპურ მდელოზე. სოფ.იფარში კი ერთ-ერთ ლოდზე სვანური კოშკია დაშენებული.

კლდეკარისებურ ხეობაში მიედინება მდ.ენგურის ზემო ნაწილი. ხეობა კლდელო ნაპრალს წარმოადგენს, ჯერ მთავარ და სვანეთის ქედების კონტრორსებს, შემდეგ კი აფხაზეთ-სვანეთისა და სამეგრელოს ქედებს შორის.

კანიონისებური ხეობაა მესტიაჭალის ქვემო ნაწილში, მესტიის მიდამოებსა და უფრო დაბლა. მულხრის ხეობის ფსკერში ჩატრილია ვიწრო და საკმაოდ ღრმა კანიონი, რომელშიც მდინარე ხმაურით მიედინება. სოფ.ჟაბეშს ზემოთ მდ. მულხრას მდგენელი, მყინვარებიდან გამომდინარე ნაკადები ვიწრო, კლდოვან ხეობებში მოედინებიან, რომ-

სხალი ამონომოსტი



ლებიც ნაწილობრივ, ჩამოხვევებული თოვლით ივსება ხოლმე.

ტურიზმი. მთის ჯანსაღი ჰავა და მინერალური წყლების უხვი რესურსები ფართო შესაძლებლობებს ქმნის კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტების მშენებლობისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ თუ სვანეთის საკურორტო მუშრენობა, მისი ოპტიმალური განვითარების პირობებშიც ძირითადად ადგილობრივი მნიშვნელობის დარჩება, სამაგიეროდ, ტურიზმს აქვს შესაძლებლობა საერთაშორისო მნიშვნელობის გახდეს. ამისათვის აქ არსებობს შესანიშნავი ბაზა-კავკასიონის მაღალმთიანი ლანდშაფტები, ტყეში ჩაფლული მდინარეთა ხეობები, საუცხოო სილამაზის ჩანჩქერები, მაღალი მწვერვალები, მხარის ცხოვრების წესის ამსახველი ძეგლები (საგვარეულო-საცხოვრებელი სახლები საბრძოლო კოშკებთან ერთად, ეკლესიები, სალოცავები და მრავალი ორიგინალური არქიტექტურის ნიმუში), რომელიც ყოველთვის იზიდავს მნახველს.

სვანეთი ალპინიზმის მხარეა. კავკასიონის მთავარი ქედისა და სვანეთის ქედის ძნელადმისადგომი მწვერვალები (უშბა, შხარა, თეთნულდი, აილამა, რუსთაველის პიკი და სხვ.) დიდი ხანია იზიდავს ალპინისტებს. ასევე მაღალი ადგილობრივი მთასველელების ოსტატობა და ავტორიტეტი, რამაც თავის დროზე ალპური ბანაკებისა და ბაზების შექმნა განაპირობა. მათი აღორძინება მხარის და ქვეყნის პრესტიჟის საქმეა.

ამჟამად სვანეთში ტურისტულ საქმიანობას რამდენიმე მცირე კერძო ფირმა ახორციელებს. დამყარებულია უშუალო კავშირები დასავლეთ ევროპის რიგ სახელმწიფოებთან (გერმანია, პოლანდია, საფრანგეთი და სხვ.). იმედია, მომავალში ტურიზმი სვანეთის

ეკონომიკური აღმავლობის ერთ-ერთ არსებით ფაქტორად იქცევა.

სვანეთი მდიდარია ხუროთმოძღვრული და ეთნოგრაფიული ღირსშესანიშნაობებით, კერძოდ, შუა საუკუნეების ეკლესია-მონასტრებით და საერო-თავდაცვითი ნაგებობებით, რომლებიც ორგანულად არის შერწყმული მხარის ბუნებრივ ლანდშაფტებთან. დღემდე მოაღწია ასამდე ეკლესიამ, ათასზე მეტმა ჭედურმა ხატ-ჯვარამა, კედლის მხატვრობამ, ფრესკებმა და სხვ.

პერსპექტივები. ჯვრის წყალსაცავის ჩრდილოეთური ნაწილის სახით, გარკვეული ადგილი დაიკავა აკვალურმა ლანდშაფტმა, რომელიც საყურადღებო რესურსია სანიჩოსნე ტურიზმის განვითარებისათვის.

სვანეთის ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტების მიზანმიმართული გამოყენება შეიძლება საფუძველი გახდეს შემდეგი დარგების განვითარებისათვის:

1. განსაკუთრებით აქტიური და კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის უნიკალურად შეიძლება ჩაითვალოს:

1. ცად აწვდენილი ჭადარა მწვერვალები მყინვარებითა და ფირნის ველებით, მდინარეთა ხშირი ქსელი, ჰიდრომინერალური და მთა-ტყის რესურსები;

2. ისტორიულ-ეთნოგრაფიული (საკარმიდამო ტერიტორიის ორგანიზაციის მკვეთრად განსხვავებული ძველი და თანამედროვე სახე), სხვადასხვა პერიოდის 40-მდე ეკლესია, 12 282 დასახელების უნიკალური მატერიული კულტურის ძეგლი.

II. სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარებისათვის:

1. სამთო-სათხილამურო სახეობისათვის აუცილებელი 5 - 25 - მდე დახრილი ფერდობების საერთო სიგრძე

ახალი პერიოდის



(160 კმ) და თოვლის საფარის ხანგრძლივობით

და საფარის სისქით გამოირჩეული;

2. კლდეზე ცოცვის სახეობებისა და ალპინიზმისათვის აუცილებელი მაღალი და საშუალო სიმაღლის მწვერვალები;

3. საწყლოსნო ტურიზმის განვითარებისათვის (მდ.მდ. ენგურის, ნეკრესის, ჯერის წყალსაცავის) აუცილებელი რესურსები.

ყოველივე აღნიშნული წარმოადგენს ზაფხულისა და ზამთრის სახეობათა განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს.

ზემო სვანეთში ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებზე მიღწევადობის მნიშვნელოვან მხარეს წარმოადგენს მდ.ენგურის ხეობის გაყოლებით არსებული სახმელეთო კავშირების მთავარი სატრანსპორტო არტერია და აქ არსებული მოკლე სიგრძის ხეობების (მდ.მდ. ნენსკრის, დოღრას, მუხურის, წანკრის) და სხვა დამაკავშირებელი 5-დან 15 კმ-ის სიგრძის გრუნტიანი გზები და ბილიკები, რაც ქვეითად მოსიარულეთათვის და საჭაპანო სატრანსპორტო საშუალებებით გადამსვლელთათვის მიღწევადს ხდის ამა თუ იმ დასახლებულ პუნქტებსა თუ ტურისტთათვის საინტერესო ტერიტორიას. აღნიშნული ფაქტი გარკვეულ წილად უშლის ხელს აქაური ინფრასტრუქტურის განვითარებას და ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ათვისებას. ამ პრობლემის გადაწყვეტით მიღებული უკუგება მაღალ რენტაბელურს გახდის აქ ტურიზმს.

დღეს, როდესაც საქართველო ფართოდ ებმება საერთაშორისო ტურისტულ ურთიერთობაში, სულ უფრო აქტუალობას იძენს მაღალმთიანი რაიონების სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის სახეობათა განვითარებისათვის რეალური რესურსული ბაზის შესწავლა.

მით უმეტეს ეს მეტად აუცილებელია იმ რეგიონისათვის, როგორცაა სვანეთი. ამ თვალსაზრისით ზემო სვანეთში მაღალია მოცემული რესურსების პოტენციალის სიდიდე. მისი სწორი დაგეგმარება და გამოყენება შესაძლებელია გახდის მთისა და ბარის პარამონიული ტურისტულ-რეკრეაციული განვითარება.

ლიტერატურა:

1. გელოვანი არჩილ, სვანეთის კულტურის ისტორიიდან, თბ., 1998. – 56 გვ.
2. ჩართოლანი ციალა, სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, თბ., – 12 გვ.
3. გაბლიანი ეგნატე, თავისუფალი სვანეთი, ტფ., 1927. – 139 გვ.
4. გაბლიანი ეგნატე, ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925. – 206 გვ.
5. სვანეთი, თბ., მეცნიერება, 1979.
6. ქალდანი ანზორ, კოშკების სამყაროში, თბ., 1978. – 114 გვ.
7. მანაბელი კიტი, სვანეთის საგანძურ-იდან, თბ., 1982. – 219 გვ.
8. ყენია რუსუდან, აღადაშვილი ნათელა, ზემო სვანეთი: შუა საუკუნეების ხელოვნება: გზამკვლევი, თბ., 2000. – 120 გვ.
9. გასვიანი ს. ქვემო სვანეთის ისტორიიდან, თბ., 1991. – 108 გვ.
10. ინგოროყვა პ. სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. 2. თბ., 1941.
11. თაყაიშვილი ექვთიმე, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეზხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937. – 440 გვ.
12. ჩართოლანი შოთა, მასალები სვანეთის არქეოლოგიისათვის, თბ., 1976. – 83 გვ.
13. ჩართოლანი შოთა, ძველი სვანეთი, თბ., 1996. – 364 გვ.
14. არღვლიანი ირაკლი, ეთნოლოგიური ძიებანი: სვანეთი, თბ., 2003. – 52 გვ.
15. ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973. – 198 გვ.

